

გალერიან მაჭარაძე

მ ა ს ა ლ ე ბ ი

**XVIII საუკუნის მეორე ნახევრის
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის
ისტორიისათვის**

ნაწილი I

*რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII
საუკუნის
40 - 50-იანი წლების მიჯნაზე*

*გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და
საძიებელი დაურთეს
გურამ კუტალაძემ და გიორგი ჟუჟუნაშვილმა*

თბილისი
2007

ВАЛЕРИАН МАЧАРАДЗЕ

МАТЕРИАЛЫ

**По истории русско-грузинских отношений
во второй половине XVIII века**

Часть I

*Русско-грузинские отношения
в 40-50-е годы XVIII века*

*К печати подготовили, примечаниями и
указателем снабдили
Гурам Куталадзе и Георгий Жужунашвили*

Тбилиси
2007

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში, გაანალიზებულია ამ ურთიერთობების ხასიათი.

ავტორის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივებში მოძიებული მდიდარი დოკუმენტური მასალა პირველად ქვეყნდება და, ამდენად, მეტად ღირებულია სამომავლო საისტორიო მეცნიერებისათვის.

წიგნი ძირითადად ისტორიკოსებისა და შესაბამისი პროფილის სტუდენტთათვის არის განკუთვნილი, მაგრამ მას ინტერესით გაეცნობა საკითხით დაინტერესებული ფართი საზოგადოებაც.

რედაქტორი: პროფესორი ვახტანგ გურული

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007

თბილისი, 0128, ი. ჯანაშიას ბაზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-99940-61-14-3

ნინათქმა

პროფესორი ვალერიან მაჭარაძე დაიბადა 1921 წლის 10 იანვარს საჯავახოს თემის სოფელ ვაზისუბანში. ზოგადსაგან-მანათლებლო სწავლების ნარჩინებით დასრულების შემდეგ ის უგამორჯდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის



ფაკულტეტზე. მეჩნიერებისაკენ მიმსწრაფს მალე მსოფლიო ომის წრებლიან ბილიკებზე მოუნია შედგომა: სტუდენტური რზოვრება ფრონტის ავბედითობამ შერვალა. 1941 წლის აგვისტოდან ომის წინა ხაზზე მებრძოლს. ჯერარ ყმანვილს, განგებამ ახალი განსარდელი და გამორდა მოუნყო: საკონრენკრაჩრო ბანაკში პურობილმა საკუთარ თავზე ინენია გერმანული ფაშიზმის საშინელბანი. მხოლოდ სულის უჩვეულო სიმტკირისა და შემართების ნყალობით გაუმკლავდა ხაკისფერ ფირს. დაუძლიველ სურვილსა და ინტერესს მეჩნიერული როდნის დაუფლებნისა არრ აქ მიუტოვებია მომავალი მკვლევარი: შემთხვევით ხელჩავარ-დნილ უურნალ-გაზეთებსა თუ ნიგნის ნაფლეეთებით რუმინელ ტყვეთა დახმარებით დაეუფლა რუმინულ ენას. მოგვიანებით ის თავის წონად სიტყვას იტყვის საქართველოსა და რუმინეთის კულტურულ ურთიერთობათა ასპარეზზე, რის შესახებარ თვითონ ასე შენიშნავს: “სამეცნიერო და კელევიითი მუშაობის პარადუ-ლურად, ვეწევი ლიტერატურულსაც (დედანიდან ეთარგმნი რუ

მინელ კლასიკოსებს, ხოლო რუმინელ მწერლებს ევსმარები ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმნისას)“.

1945 წლის სექტემბერში ვალერიან მაჭარაძე მიუბრუნდა უნივერსიტეტს. მთელი მონდომებით შეუდგა გარდენილის ანაზღაურებას, საისტორიო წოდების სრულყოფასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის მზადებას.

1947-1950 წლებში მომავალი პროფესორი თსუ ასპირანტი გახლდათ. ვალერიან მაჭარაძემ მთელი ენერჯია, მიზანსწრაფვა, შემოქმედებითი უნარი შეაღწია თავისი აკადემიური ინტერესის უმთავრეს საგანს - საქართველოსა და რუსეთის შორის კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტის მეცნიერულ კვლევას, რასავე არანაკლები წარმატებით უთავსებდა ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იგი იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1955-1956), უნივერსიტეტის სწავლული მდივანი (1957-1960), კათედრის გამგის მოადგილე (1971-1976). უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების გამგე (1974-1977). 1995 წლიდან ზაქონი ვალერიანი ხელმძღვანელობდა რუსეთის ისტორიის კათედრასთან არსებულ პროფ. პოლიევქტოვის სახელობის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელ ლაბორატორიას.

საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთის არქივებსა და ნივთსაწყებებში მოძიებული უამრავი დოკუმენტის, ინფორმაციის სკრუპულოზური დამუშავების, ღრმა მეცნიერული ნვდომანალიზის შედეგია მისი საკვალიფიკაციო ნაშრომები: 1953 წელს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ნაშრომისათვის: „1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო“, ხოლო 1968 წელს გამოკვლევისათვის: „მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ისტორიისათვის (თეიმურაზ II ელჩობა რუსეთში, რუსეთ-ომერეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 70-90 წწ.)“, რომელსავე სპერაღისცთა მღალღი შეფასება ხვდა, დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი ვალერიან მაჭარაძე 8 მონოგრაფიისა და მრავალი ათეული სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთა მეცნიერულ ნონასა და ღირებულებას შრომათა მხოლოდ სათაურებზე რხადყოფს:

„ასპინძის ბრძოლა“ (1957), „Грузинские документы по истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х гг. XVIII века“ (1967), „მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ (ნაწ. II, ნაწ. III - 1 და 2 ნაკვეთი), „ბესიკი დიპლომატიურ

სარბიელზე“ (1968), „გეორგიევსკის ტრაქტატი“ (1983), „Грузинские документы по истории грузино-курдско-ассирийско-русских взаимоотношениях“ (1989) და სხვა.

მკვლევარმა თავისი ნაყოფიერი ქრონიკების მანძილზე სამეცნიერო ბრუნვაში შემოიჭანა უამრავი უცნობი დოკუმენტი, შეავსო ჩვენი ისტორიის არაერთი წარივლი ფურცელი, მაგრამ ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

მისი პირადი არქივი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან, ჯერარ უცნობ დოკუმენტებს, თუ მეცნიერის ორიგინალურ გამოკვლევებს უყრის თავს. რომელთაგან რამდენიმე უკვე იხილა მზის შუქი (ერთი მათგანი ნინამდებარე გამოკვლევა), სამუშაო კი მრავლადაა.

ვიმედოვნებთ, სამამულო მეცნიერების კეთილმოამავე კართა შემწეობით პროფესორ ვალერიან მაჭარაძის არაერთი სხვა, ან მივიწყების თაროზე მდუმარე შრომა გუტენბერგის გამოგონების ნულოვით მალე ამეცყველდება, იქნება ჩვენი საისტორიო მეცნიერების ფასეულ შენახენად.



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის კვლევას პროფესორმა ვალერიან მაჭარაძემ განუზომელი ამაგი დასდო. მას, როგორც ჩანს, განუზრახული ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების ერთიანი, გაბმული, ფუნდამენტური ისტორიის შექმნა, რისთვისაც მას შრომატევადი საქმიანობა გაუნდია საქართველოს, რუსეთისა თუ სხვა ქვეყნების უცხო ენოვან არქივებსა და წიგნთსაქვეყნებში. ამ ჩანაფიქრის ერთი ეტაპი გახლავთ პროფესორის მიერ დაარსებული, შეიძლება ასე ვუნოლოთ, სერია - „მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის“. თავის სიწორხლეში ვ. მაჭარაძემ „მასალების“ რამდენიმე წიგნის (ნაწილი II; ნაწილი III-ნაკვეთი I და ნაკვეთი II) გამოცემა მოასწრო, რომლის პრონოლოგიური დიპაზონი 1760-1774 წლებს მოიცავს.

* ვ. მაჭარაძე. დადინები კიშინოვში. გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები დაურთეს ვ. კუტალაძემ და ვ. ქუქუნაშვილმა. მესხეთი - საისტორიო კრებული. VI-VII. თბილისი-ახალციხე. 2006; ვ. მაჭარაძე. რუსეთ-იმერეთის 1804 წლის ვლასნაურის ტრაქტატი. გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები დაურთეს ვ. კუტალაძემ და ვ. ქუქუნაშვილმა. მესხეთი - საისტორიო კრებული. VI-VII. თბილისი-ახალციხე. 2006.

გამოსაცემად მსადაა: ვ. მაჭარაძე. პლატონ-იოსელიანის ლექსიკოგრაფიული მოდუაწეობა კომენტარები დაურთეს ვ. კუტალაძემ და ვ. ქუქუნაშვილმა. მესხეთი - საისტორიო კრებული. VIII.

არსებითი ნაწილი სამუშაოს პროფესორს განუხორციელებელი დარჩა. ფუტკა-რივით მუყაითი მკვლევარის სიწოვსე ვერ გასწვდა მის მიერვე მოძიებული უამრავი ფაქტოლოგიური მასალის აკა-დემიურ დამუშავებას. პირადი არქივი ვალერიან მაჭარაძისა ქართულ-რუსული ურთიერთობების, მის მთელ სივრცეზე ანუ 1801 წლამდე, თითქმის ყველა ასპექტის ამსახველ უამრავ დოკუმენტს უყრის თავს, რასაერ ემატება ერთი, დაუ-სრულებელი შრომა, რომელიერ XVIII ს. 40-50-იანი წლებ-ბის მონაკვეთს ეხება. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო - XVIII საუკუნის 40-50-იანი წლები, რომელიერ, თითქოსდა, სრდება „მასალები...“ ქრონოლოგიას, როგორერ ჩანს, მისი მიერ საგანგებოდაა შერჩეული. ამ ხანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, მეწიერის აზრით, ერთგვარი პრელოდიაა 1768 წლის შემდგომ ორ ქვეყანას შორის განვითარებული კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობებისა, ამიტომერ სავსებით შესაძლებელია ისიერ ზემორენახსენებ სერიას მივაკუთვნოთ. ამდენად, საგნოდ, მეტიერ, აუერილებლად მივიჩნიეთ მისი გამორემა იმ აკადემიური ნორმებითა და ნესით, როგორერ ეს მეწიერის თავისი „სერიისათვის“ ჰქონდა შემუშავებული.

აღნიშნული გამოკვლევის გამოსაერემად მოშზადებისას ვყარდნობოდით მკვლევარის პირად არქივში დარეულ რამდენიმე საქმეს, მათგან უმთავრესი - საქმე №1, რო-გორერ ჩანს, ნარმოადგენს თსუ-ის, მაშინ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრაზე შესრულებულ ხუთწლიურ (1981-85 წწ.) სამეწიერო ნაშრომს სათაურიით: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე (გამოკვლევა და დოკუმენტები)“. გამოკვლევა თანდართული დოკუმენტებით მოიერვს ქართულად ნაბეფ 126 თაბახს (სულ ერთვის 31 დოკუმენტი).

წინამდებარე გამორემის სისრულისათვის გამოვიყენეთ, აგრეთვე, მეწიერის პირადი არქივის საქმე №2 - „სა-მე(ვნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ 1957 წლის ანგარიში“, რომელიერ მას, როგორერ ჩანს, იმავე კათედრისათვის ნარუდგენია და აქვე დარეული რეფერატი „საქართველოს ურ-თიერთობა კავკასიის ხალხებთან XVIII საუკუნეში“.

შრომის შევსების მიზნითვე მოვიტანეთ რამდენიმე დოკუ-მენტი პირადი არქივის სხვა საქმეებდან (საქმე №3 4. 4^ა, ოსეთის საქმე) და ახალი მასალით გავამდიდრეთ დედნის I თავი - „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუ-კუნის 40-იანი წლებში“.

გამოკვლევის რუსული თარგმანი მეწიერის არ დაუტო-ვება. „მასალები...“ გამორემის ტრადიციული, ავტორისეული

ნორმის შესაბამისად, ჩვენ საჭიროდ მივიჩნით ქართული ტექსტის თარგმნა რუსულად ორენოვანივე დოკუმენტების თანდართვით, რომელთა დიდი უმრავლესობა დაუბუშავებელი იყო და პირველად ექვევსა სამეურნეო თვალთახედვაში.

ჩვენს მიერ გამოთქმული ზოგადი მოსაზრებანი თუ შენიშვნები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. ასევე, შევადგინეთ და შრომას დავურთეთ საძიებელი და რიგი განმარტებებისა, რომლებიც, ძირითადად, ავტორის ტექსტს უკავშირდება.

საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია ნყაროთმეოფინე-ობითი და სამეურნეო ბაზა, რომელსაჲ ვალერიან მაჲარაძის გამოკვლევა ემყარება. ავტორს თითქმის სრულად აქვს ნარმოდგენილი სპერიალური ლიტერატურა 1985 წლამდე, ე. ი. შრომის დასრულებამდე. საგანგებოდ უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ დღემდე ზევრი არაფერი შეეწვლილა. ვ. მაჲარაძის შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხს მხოლოდ რამდენიმე მკვლევარი თუ შეეხო¹¹.

და ზოლოს, შეგვიძლია თამამად განვარხალოთ, რომ პროფ. ვალერიან მაჲარაძის გამოკვლევა განუზომლად სრულყოფილია მათ შორის, რაჲ დღემდე გამოქვეყნებულა აღნიშნულ პრობლემატკაზე და მრავალ დამატებით ინფორმარას იძლევა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საგა- რეო პოლიტიკური ორიენ-ტარის დასაზუსტებლად, ქართულ-რუსული ურთიერთობების სრული, განმული ისტორიის შესაქმნელად, რაზერ განსვენებული ოქნებზდა. ამდენად, მისი ზეფდური სახით გამორემა საშურ საქმედ მივიჩნით. ამასთან ერთად წინამდებარე გამორემით ნანილოზრივ მანერ გაიმართება ზემორენახსენები სერია ისე, როგორჲ ეს „მასაღების“ ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული.

დასაარულო, გვსურს უღრმესი მადლოზა მოვახსენოთ გამორემის რუსული ტექსტის რედაქტორს ზაცონ როზინზონ რხელაშვილს.

გურამ კუტალოძე
გიორგი უწყუნაშვილი

¹¹ დ. ლომიძე, საქართველო-რუსეთისა და ირან-ოსმალეთის ინტერესების ცენტრში 1741-43 წწ. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 10. თბ. 2003. გვ. 121-137; ა. ბიბილაშვილი, თეიმურაზ II სახლობა. საისტორიო კრებული - მესხეთი. III. თბილისი - ახალციხე. 1999; მისივე ქართლის ტახტისათვის ბრძოლა XVIII 30-40-იან წლებში. საისტორიო კრებული - მესხეთი. IV. თბილისი - ახალციხე. 2001; მისივე თეიმურაზ II ქართლში გამეფების თარიღისათვის. საისტორიო კრებული - მესხეთი. V. თბილისი - ახალციხე. 2002.

შესავალი

XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნა რთული და საყურადღებო ეტაპია საქართველოს ისტორიაში. ერთის მხრივ, იგი აღინიშნა „ყიზილბაშობის“ დასასრულით - ირანელთა ბატონობის უღლისაგან აღმოსაყდრეთ საქართველოს ფაქტობრივი განთავისუფლებით; მეორეს მხრივ, განთავისუფლებული ქართლ-კახეთი ენერგიულად შეუდგა „აღდგომისა და გამოხსნის“ გზების ძიებას და არჩევანი რუსეთზე შენერდა. ეს საყურადღებო ეტაპი ისტორიოგრაფიაში ჯეროვანი სისრულით გაშუქებული არ არის.

წყაროები და ლიტერატურა

XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ, როგორც ითქვა, საკითხი ჯეროვანი სისრულით გაშუქებული არაა, რაც გაპირობებულია წყაროების გამოყვანიების მდგომარეობით.

§1. წყაროების მიმოხილვა

XVIII საუკუნის I ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტების კრებული ჯერაც არ გამოქვეყნებულა. რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც დართული აქვს ს. ყუბანეიშვილისა¹ და გ. პაიჭაძის² ნაშრომებს და რომლებიც მხოლოდ ვახტანგ VI ამაღლის მდგომარეობას ეხება, ცხადია, საქმის ვითარებას ვერ ცვლის.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების შესახებ საყურადღებო დოკუმენტები გამოაქვეყნა პროფ. ი. ცინცაძემ. კერძოდ, 1946 წელს დაიბეჭდა კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები³, ხოლო 1952 წელს - ათანასე

¹ ს. ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი კუსართა პოლკში. თბ. 1955.

² გ. პაიჭაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი). თბ. 1960.

³ ი. ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756). თსუ შრომები. ტ. XXVII. 1946.

თბილელისა და სიმონ მაყაშვილის რუსეთში ელჩობის მასალები⁴.

პროფ. ი. ცინცაძის მიერ დაბეჭდილ დოკუმენტებს თავის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ წინ წასწი-ეს XVIII საუკუნის 50-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის კვლევის საქმე. განსაკუთრებით საყურადღებოა ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათების პუბლიკაცია, რომელმაც ახალი ასპექტები წარმოაჩინა, გეინვენა, რომ ოფიციალური უარისა და თავშეკავების მიუხედავად, რუსეთის მთავრობა დაინტერესებულია საქართველოს საკითხით და, რომ ეს ურთიერთობა ცალმხრივი დაინტერესების საკითხი არ ყოფილა.

თუმცა ხსენებული პუბლიკაციები, რომ არაფერი ვთქვათ მათ ტექნიკურ ნაკლზე, სრული არაა, რაც ურთიერთობის სრულად და ყოველმხრივი გაშუქების საშუალებას არ იძლევა.

XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე პ. ბუტკოვის „მასალებში“, მაგრამ იგი დაუმთავრებელია⁵.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ცალკეული ცნობები შემოგვინახეს აგრეთვე ქართულმა ნარატიულმა ძეგლებმა, კერძოდ, XVIII საუკუნის ქართველმა ისტორიკოსმა პაპუნა ორბელიანმა⁶.

§2. ლიტერატურის მიმოხილვა

XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საგანგებო შესწავლის საკითხი არ ყოფილა და სპეციალური მონოგრაფიაც არ არსებობს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო და რამდენიმე ნარკვევიც დაიბეჭდა.

პროფ. ი. ცინცაძემ, მის მიერვე ზემოთ დასახელებულ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს დაურთო შესავალი წერილები, სადაც მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს

⁴ ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში 1752-54 წწ. „საისტორიო მოამბე“. წ. VI. 1952.

⁵ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть первая. СПб. 1869. Стр. VIII.

⁶ საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ. 1913. გვ. 217-218.

ურთიერთობა XVIII საუკუნის 50-იან წლებში, კერძოდ, პირველ ნარკვევებში გამოკვლეულია 1752-54 წლებში ათანასე თბილელის და სიმონ მაცაშვილის რუსეთში ელჩობის მიზნები და შედეგები⁷, მეორე სტატიაში, რომელიც ოთარ თუმანოვის საქმიანობას ეძღვნება, ავტორი აშუქებს რუსეთის აგენტების საქმიანობას საქართველოში და უჩვენებს, რომ რუსეთი 1754-56 წლებში დაინტერესებულია საქართველოს საქმეებით და ეშინია ელჩობის ხელცარიელი გამოშვებით, ქართველები არ გაგვინაწყენდნენ და ზურგი არ შეგვაქციონ⁸, რაც საყურადღებო ფაქტია. ავტორი არ დაკმაყოფილდა წერილის გამოქვეყნებით და მოგვიანებით დაბეჭდა ი. თუმანოვის მოხსენებითი ბარათები შესავალი წერილით⁹.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს თავის წერილებში შეეხო პროფ. გ. პაიჭაძე. ავტორი ემყარება პროფ. ი. ცინცაძის მიერ შემოხსენებულ გამოქვეყნებულ საბუთებს და მათდამი წამძღვარებულ წერილებს, ცდილობს მათ თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს, მაგრამ გ. პაიჭაძის წერილები რამე სიახლეს არ შეიცავს¹⁰.

1968 წელს, პაექრობის დროს, მოგვიხდა გ. პაიჭაძის შრომების კრიტიკული შეფასება¹¹, შედეგად გ. პაიჭაძე შეეცადა ერთგვარად შეერბილებინა მდგომარეობა და 1973 წელს დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნავდა, რომ 1752 წლის „ელჩობის შესახებ საარქივო მასალები ი. ცინცაძემ ჯერ კიდევ 1952 წელს გამოაქვეყნა. თავის პუბლიკაციას მან ვრცელი შესავალი დაურთო, რომელშიც დოკუმენტების ანალიზი მოგვცა და ელჩობასთან დაკავშირებული რიგი საკითხი გააშუქა. უფრო ადრე, 1942 წელს თავის ერთერთ

⁷ ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა და სიმონ მაცაშვილის ელჩობა რუსეთში. გვ. 85-134.

⁸ მისივე რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვისა და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 ს. მეორე ნახევრის საქართველოში. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები. II. 1941. გვ. 83-96.

⁹ მისივე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან. გვ. 1-15.

¹⁰ გ. პაიჭაძე. რუსეთში ქართლ-კახეთის 1752 წლის ელჩობის საკითხი-სათვის. საბჭოთა სამართალი. 1967. №2. გვ. 61-67.

¹¹ ჩვენი პაექრობის სტენოგრაფა დაცულია თსუ ისტორიის საბჭოს 1968 წ. 14 სექტემბრის ოქმი.

სტატიაში იგი 1752 წლის ელჩობასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს შეეხო. ამგვარად, ათანასე თბილელის მეთაურობით ქართლ-კახეთის ელჩობის ისტორია ძირითადადში გაშუქებული იყო¹², თუმცა, ავტორი მაინც შეეცადა თავისი ადრინდელი სტატია ერთგვარად დაეკვა და წერდა: „1967 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია 1752 წლის ქართლ-კახეთის ელჩობის შესახებ, სადაც შევეცადეთ მოგვეცა ამ ელჩობის მიზეზების და მიზნების ახლებური ინტერპრეტაცია. შემდგომ მუშაობის დროს ჩვენ უფრო მეტად დაერწმუნდით ჩვენს მოსაზრებათა სისწორეში და ამჯერად გვსურს მკითხველს შევთავაზოთ ჩვენი შეხედულება უფრო მეტად დასაბუთებული სახით“¹³. ქვემოთ ავტორი მოკლედ აღწერს ელჩობის ისტორიას და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშიელის ელჩობის ძირითად მიზანს ქართლში კახელი ბაგრატიონების დამკვიდრების ცნობა ყოფილა, ხოლო ამ ამოცანის გადაჭრის სურვილი უნდა ვეძიოთ „იმ ფაქტშიც, რომ 1760 წელს თვით თეიმურაზი გაემგზავრა რუსეთში“¹⁴ და თერმე ნუიტყვით, თეიმურაზის ასტრახანში, ვახტანგის გვერდით დასაფლავებაც იმის დასტური ყოფილა, „რომ რუსეთმა ქართლის ორივე მეფე თანასწორუფლებიან ხელმწიფეებად მიიჩნია“¹⁵.

ერთი სიტყვით, ავტორი შეეცადა, ჩვენს მიერ გაკრიტიკებული თეზისი ახალი რედაქციით წარმოედგინა.

1971 წელს გ. პაიჭაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის I ნახევარში“¹⁶, რომელიც წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაციის რუსულ თარგმანს. ხელნაწერი თავის დროს ჩვენ მთლიანობაში დადებითად შევაფასეთ და მიუუთითეთ ორ ნაკლზე: 1. პერიოდიზაციის სქემის უვარგისობაზე,

¹² გ. პაიჭაძე. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს. 50-60-იან წლებში. წიგნში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“. ტ. II. თბ. 1973. გვ. 59.

¹³ იქვე. 59-60.

¹⁴ იქვე. გვ. 79.

¹⁵ იქვე. გვ. 88.

¹⁶ Г. Г. Паичадзе. Русско-грузинские отношения в первой половине XVIII века. Тб. 1971.

რომელიც წარმოადგენდა დისერტაციის შესავალს და 2. 50-60-იანი წლების ისტორიის ზემოხსენებული სათაურის ქვეშ მოქცევაზე. გარკვევით ვუთხარით ავტორს, რომ 1762 წელი არ არის საუკუნის I ნახევრის ქრონოლოგიური საზღვარი და არც ლოგიკური საზღვარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერიოდიზაციის თვალსაზრისით; რომ 1762 წელს ისეთი არაფერი მომხდარა, რომ იგი ახალი პერიოდის დასაწყისად მივიჩნიოთ მეთქი. ავტორმა ჯიუტად გაიმეორა ძველი, რაც ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. ქვემოთ შევეცდებით ამის დასაბუთებას.

ო. მარკოვას საყურადღებო ნაშრომში, რომელიც კავკასიის პრობლემას იხილავს საერთაშორისო მასშტაბით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე XVIII საუკუნის 40-იან წლებში არაფერია ნათქვამი¹⁷, ხოლო 50-იანი წლებიდან სქემატურადაა განხილული ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში 1752-54 წლებში - ელჩობის ამოცანიდან ავტორი ირანში შეჭრის საკითხს ეხება; ხოლო ოთარ თუმანოვის მისიას ისე ხატავს, თითქოს მას ძირითადად თურქეთის პოზიციის დადგენა ევალებოდა¹⁸. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ძირითადად, ი. ცინცაძის ნაშრომებს ემყარება¹⁹.

ჩვენ აქ ვერ შევეხეთ სოგადი ხასიათის იმ ნაშრომებს, რომლებშიც გაკერით ეხებიან აღძრულ საკითხებს, მაგრამ ისინი სათანადო ადგილას იქნება მითითებული.

თავი I

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის 40-იან წლებში

რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში განსაზღვრა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების შედეგებმა.

¹⁷ *О. П. Маркова*. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М., 1966. Стр. 125-127.

¹⁸ *იქვე* გვ. 127-129.

¹⁹ *იქვე*.

კავკასიაში რუსეთის აქტიურმა პოლიტიკამ, რომელიც პეტრე I წამოიწყო, 30-იან წლებში მარცხი განიცადა. ნადირ შაჰმა შედიხედ დაამარცხა რუსეთი და ახერბაიჯანი და ქართლ-კახეთი დაატოვებინა, ხოლო რუსეთის მთავრობა რთულ ვითარებაში დათმობებზე წავიდა. ჯერ, 1732 წელს რეშტის²⁰, ხოლო 1735 წელს კი განჯის ტრაქტატით მანვე რუსეთს კასპიისპირა პროვინციები დაატოვებინა და დადესტან-ჩენხეთზეც ხელი აადებინა. რუსებმა წმ. ნიკოლოზის სიმაგრე დაანგრეეს და სახლვარი თერგზე გადაიტანეს²¹.

უკეთესი მდგომარეობა არც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში იყო. გაჭიანურებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა, რომელსაც უნიათოდ აწარმოებდა ფელდმარშალი მინიხი, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ბელგრადის 1739 წლის ზავით ორივე ყაბარდო ჩეიტრალურ ზონად გამოცხადდა²². ამით რუსეთმა ყაბარდოს საქმეებში ჩარევის უფლებაც დაკარგა.

ირანის შაჰის მიერ ხელახლა ოკუპირებული აღმოსავლეთ საქართველო ჩეიტრალური ყაბარდოთი რუსეთიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა. დამთავრდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც XVIII საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, ბელგრადის 1739 წლის ზავი ამ ეტაპის დასასრული აღმოჩნდა. ამ ზავმა ჩაკეტა თერგის გზაც. რუსეთის ახალი გამოსვლა ქართლის დასახმარებლად ჯერ კიდევ განჯის ტრაქტატმა (1735) დროებით გამორიცხა, ხოლო ბელგრადის ზავმა (1739) კიდევ უფრო შორეული მომავლის საქმედ აქცია^[2].

²⁰ Договоры России с Востоком политические и торговые. Собрал и изд. Т. Юзефович. СПб. 1869. Стр. 194-202.

²¹ იქვე გვ. 202-208.

²² იქვე გვ. 19. Артикал 6.

[2] 1775 წელს წარმოდგენილ რეფერატში ქართულ-ოსურ-რუსული ურთიერთობების შესახებ ავტორი აღნიშნავდა: „რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ ბელგრადის ზავის ისეთი გაგებისაგან, რომელიც ამ უკანასკნელი 20 წლის წინათ განხდა. მხედველობაში გვაქვს ბეშუმეის, კუმიკოვისა და სხვათა თვალსაზრისი, რომლითაც ჩრდილოეთ კავკასია რუსეთთან შეერთებულად XVI საუკუნეში (1557 წელს) გამოცხადდა. თუ ამ თვალსაზრისს ვავიზიარებთ, გამოდის, რომ ომში გამარჯვებულ რუსეთს XVI საუკუნეში შეერთებული ყაბარდო დაუკარგავს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება (იხ.: პროფ. ვ. მაჭარაძის პირადი არქივი. ფ. V/1. საქმე №2. გვ. 12).

ასეთ პირობებში ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მხარდაჭერის იმედი გადაეწურათ. შემთხვევითი როდია, რომ რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობაში, ვახტანგ VI გარდაცვალების (1737) უმაღლეს რუსეთის მთავრობამ ქართული ემიგრაცია ალტერნატივის წინაშე დააყენა: ან შესულიყვნენ რუსეთის სამსახურში, ან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ამიერიდან ვახტანგ VI მემკვიდრეთა საქართველოში დაბრუნება რუსეთის შემწევობით გამორიცხული იყო, რაკი რუსეთი კავკასიაში აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე ოფიციალურად ხელს იღებდა.

1739 წლის ბელგრადის ზავით ახალი ეტაპი დაიწყო რუსეთისა და კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში. რა თქმა უნდა, ამ ამბებს უცხოელ მედროყეთა ხელი აშკარად ემჩნეოდა, მაგრამ მოვლენების შემდგომი მსვლელობაც ვეროპაში ისე წარიმართა, რომ რუსეთის მობრუნება კავკასიისაკენ კარგა ხნით გადადებული ჩანდა - 1768 წლამდე ამ პოლიტიკას რაიმე ცვლილება არ განუცდია.

რუსეთში ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებს ეს გარემოება კარგად ესმოდათ, ამიტომ რუსეთის მთავრობისათვის სამხედრო დახმარების თხოვნის ნაცვლად ახალი საქმე წამოიწიეს - რუსეთის მთავრობას ჩრდილოეთ კავკასიაში მისიონერთა გაგზავნა სთხოვეს, რაც შემთხვევით არ მომხდარა²³. მომენტიც და შემსრულებლებიც შესანიშნავად იყო შერჩეული: რუსეთს თავად არ შეეძლო აქტიური პოლიტიკის წარმოება, ქართლში აჯანყების ჩახშობისას ბევრი ოსი დაზარალდა ყიზილბაშთა ლაშქრისაგან და ერთადერთი ქომაგი ვახტანგის ჩამომავლები იყვნენ, თავად ბაქარს და მის გარემოცვას ჩრდილოეთ კავკასიის დაკარგვის საფრთხე კარგად ესმოდათ. ის, რაც ისლამმა ჩვენი უძღურების გამო დაგვაკარგინა, რუსეთის დახმარებით ქრისტიანობის გავრცელებას უნდოდა დაებრუნებინა²⁴, ამ მისიას სწორედ ქართველი მღვდელმთავრები მოემსახურებოდნენ, რაც ასევე ყველასათვის მისაღები იყო: რუსებისათვის ისინი კერძო პირები და თანაც უცხოეთის მოქალაქენი, ოსთათვის - მათი ადათ-წესის, ენის მცოდნენი, ქართველთათვის ძველი

²³ დანართი დოკ. №1.

²⁴ იქვე.

ურთიერთობების აღდგენისათვის და დასაყრდენის მოპოვებისათვის შესანიშნავი კანდიდატურები იყვნენ. ამიტომაც ქართველთა ინიციატივას რუსეთის მთავრობა გამოეხმაურა^[1].

1742 წლის ნოემბერში სამებისა და წილკანის არქიეპისკოპოსმა იოსებმა და მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა თხოვნით მიმართეს იმპერატორ ელისაბედს, სადაც აღნიშნავდნენ, რომ თქვენი ქვეყნის ახლოს, ყაზლარის საზღვართან, კავკასიის მთებში ცხოვრობს 200 ათასი სული ოსი. ადრე ქართველ მეფეებს ექვემდებარებოდა და ქრისტიანობასაც აღიარებდა, რისი დოკუმენტია იქ საეკლესიო არქიტექტურის ძეგლების ნაშთები, მაგრამ დროთა ვითარებაში, უამთა სიავის გამო, ქრისტიანობა მოიშალა. იქ ქრისტიანობის გავრცელებით შეიძლება მათი რუსეთის ქვეშევრდომობაში შემოყვანა. ამ საქმის მოსაგვარებლად შეიძლება იქ

[1] პროფ. მაჭარაძე აღნიშნავს, რომ მ. ბლიევი ამ იდეას კანცლერ ბესტუჟევი-რიუმინს მიაწერს (იხ.: *М. М. Блиев. Осетинское посольство в Петербурге 1749-1752. Орджоникидзе 1961. Стр. 8-12.*), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, ოფიციალურ მისოწვრაში ბაქარის სახელი არ ფიგურირებს. მაგრამ 1743 წ. ივნისში იღუმენ ქრისტეფოროეს მიერ წარდგენილ მოხსენებაში მისი მოთავეობა აშკარად ჩანს (პროფ. ე. მაჭარაძის პირადი არქივი. ფ. V/1. საქმე №2. გვ. 15).

ქვემოთ განავრძობს, რომ „ქართველთა საქმიანობა ოსეთში უცნობი ფაქტი არ ყოფილა, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში მან ვერ პოვა სათანადო ასახვას. და რაც მთავარია, ამ ფაქტის უკან ეერ დაინახ ბაქარი და ქართლის ემიგრაციის ჩანაფიქრი, ხოლო ოსურ ისტორიოგრაფიაში არა მარტო მისი პოლიტიკური მიზანდასახულობა არ გაუგიათ, არამედ თვით მისიონერების კულტურული საქმიანობისა და რუსეთ-ოსეთის ურთიერთობაში მათი როლის უგულებელყოფას - გაბაზირებასა და მინქმალეასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს კარგად ჩანს მ. ბლიევის, ბ. აღბოროვის (*Б. Алборов. Новое в истории изучения первой печатной книги 1798 г. См. в книге: Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института. Т. XXIV Вып. 1. Орджоникидзе. 1964. Стр. 29-1442*) და სხვათა შრომებში“ (იხ.: იქვე. გვ. 7-10).

ამის შესახებ ე. მაჭარაძემ არაერთხელ განაცხადა (დაწერ. იხ.: *მისივე. Из истории русско-осетинских отношений 80-90 гг. XVIII в. Изд. Тбилисского университета. Т. IV. №2. თბ. 1966. გვ. 517-524; მისივე К вопросу о присоединении Северного Осетии к России. სამეცნიერო სესია მიძღვ. დიდი ოქტ. რევოლუციის 50 წლისთავისადმი (თეზისები). თბ. 1967. გვ. 12-13; მისივე. К истории первой осетинской печатной книги. Литературная Грузия. №2. 1967. გვ. 71-73; მისივე. დავით ერისთავის „ოსთა სოფლების აღწერა“. მაცნე ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფიის სესია. 1967. №1, გვ. 110-121. და სხვა).*

მოსკოვიდან გაიგზავნონ ქართველი მისიონერები არქიმანდრიტი პახომი და ილუმენები ქრისტეფორე და ნიკოლოზი, რომლებმაც ოსურიც იცინაო. თხოვნაში ისიც იყო ნათქვამი, რომ ეს მხარე მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრეებით, რაც რუსეთისათვის ხელსაყრელია. ხოლო დასასრულ, ისიც იყო აღნიშნული, რომ რუსეთი ქრისტიანობას ისეთ შორეულ მხარეებშიც კი აერცულებს, როგორც ირკუტსკი და კამჩატკაა, ხოლო ოსეთი ყოზღართან სულ ახლოაო²⁵.

სინოდმა ქართველი სასულიერო პირების თხოვნა იმპერატორის კაბინეტს გაუგზავნა, ხოლო კაბინეტმა - სენატს. 1743 წლის 19 ნოემბერს სენატმა ბრძანებულება გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომელშიც ითხოვდა ეცნობებინათ: 1) მართლა დამოუკიდებელია თუ არა ოსი ხალხი; 2) როგორია მათი მდგომარეობა და კავშირში არიან თუ არა რუსეთთან; 3) შეიძლება თუ არა იქ გაიგზავნონ სასულიერო პირები ისე, რომ არ იყოს საფრთხე მათი პირადი უშიშროების, ან ხომ არ არის საჭირო გამცილებელი რაზმი გავატანოთ, ხომ არ მოყვება მას უთანხმოება მეზობელ ქვეყნებთან; 4) რა მანძილზეა ეს ხალხი ასტრახანიდან დაშორებული; 5) რომელი გზებითაა მოსახერხებელი მათი გაგზავნა ზამთარში და ზაფხულში; 6) როგორ შეიძლება გაგზავნილთა გამოკვება და ხომ არ გამოიწვევს ეს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავებას. სენატი საგარეო საქმეთა კოლეგიას იმასაც სთხოვდა, საქმის ვითარება სასწრაფოდ ეცნობებინა სინოდისათვის²⁶.

1744 წლის 3 იანვარს საგარეო საქმეთა კოლეგიაში ასესორ ბაკუნინს მოუშადავია პასუხი რამდენიმე კითხვაზე, სადაც ნათქვამია: ასტრახანიდან ყოზღარამდე 383 ვერსია, ყოზღარიდან კაზაკთა დაბა ჩერვლენამდე - 157, ჩერვლენიდან მცირე ყაბარდოს მფლობელის სიმაგრემდე - 150, ხოლო აქედან ოსეთამდე - 50 ვერსი, სულ ასტრახანიდან ოსეთამდე 740 ვერსიაო²⁷.

რაც შეეხება დანარჩენ კითხვებზე პასუხს, საგარეო საქმეთა კოლეგიას სარწმუნო ცნობები არ ჰქონია. ამიტომ 1744 წლის 5 იანვარს საგარეო საქმეთა კოლეგიამ სინოდს გაუგზავნა მოხსენება, რომელსაც ხელს აწერდა გრაფი

²⁵ დანართი დოკ. №1

²⁶ იქვე.

²⁷ დანართი დოკ. №4.

აღექსი ბესტუყევი-რიუმინი. მასში ნათქვამია: ყაბარდოელ მთავარს დაეკითხეთ და გვითხრა, რომ ოსები უშუალოდ ყიზლარს არ ესაზღვრებიან, მცირე ყაბარდოს სამხრეთით ცხოვრობენო და მანძილსაც მიუთითებდა, მაგრამ არც ეს პასუხი იყო სრული²⁸.

ზემოთ მოტანილი მოხსენების ასლი საგარეო კოლეგიამ 1744 წლის 5 იანვარს გაუგზავნა სენატს²⁹, მაგრამ ეს ცნობები საგარეო საქმეთა კოლეგიას არ აკმაყოფილებდა და ამიტომ 1744 წლის 19 იანვარს სინოდს აცნობებდა: უფრო სანდო ცნობების მისაღებად ბრძანება გაუგზავნეთ ასტრახანის გუბერნატორ ტატიშჩევსო³⁰.

ვიდრე ასტრახანიდან შემოწმებულ და სანდო ცნობებს მიიღებდნენ, საქართველოში ახალი ამბები დატრიალდა: თეიმურაზ II და ერეკლე II დაეხმარნენ სპარსელებს თურქების განდევნასა და ქართლში აჯანყების ჩაქრობაში, ხოლო შაჰმა 1744 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა, ხოლო მისი შვილი ერეკლე II - კახეთის მეფედ, რითაც ბაქარს ქართლში გამეფებისათვის ნიადაგი გამოაცალა, ამიტომაც მისი პოლიტიკური აქტიურობა აღარც ჩანს და აღარც არაფერი წვევდა მას ქართლში.

მაგრამ ქართულ ემიგრაციას ოსეთში მისიონერების გამოგზავნის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოუხსნია და წინანდებურად ამ საქმის აქტიური მოღვაწეი სასულიერო პირები ჩანან.

1744 წლის 13 მარტს ქართველ სასულიერო პირებს სინოდისათვის უცნობებიათ, რომ მათ დასჭირდებოდათ გამცილებელი რაზმი³¹.

1744 წლის 3 დეკემბერს, ასტრახანიდან სათანადო ცნობების მიღების შემდეგ, სენატმა ბრძანება გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომელშიც აღნიშნული იყო: 1) აცნობეთ სინოდს, რომ სენატი თანახმაა სინოდმა ქადგებისათვის ოსეთში გაგზავნოს მხოლოდ ქართველი სასულიერო პირები, ხოლო რუსებისაგან არც სასულიერო, არც საერო პირები, არც გამცილებელი რაზმი არ გაგზავნოს, ინსტრუქცია არ მისცეს, რომ ოსების, გან-

²⁸ დანართი დოკ. №4, №6.

²⁹ დანართი დოკ. №7.

³⁰ დანართი დოკ. 19.

³¹ დანართი დოკ. №10.

საკუთრებით კი თურქების და სპარსელების ეჭვები არ გამოიწვიოს; ხოლო რამდენი სასულიერო პირი უნდა გაიგზავნოს, ეს სინოდმა თვითონ გადაწყვიტოს; 2) თუ ყაბარდოულ მთავერებთან რეკომენდაცია იქნება საჭირო, საგარეო საქმეთა კოლეგიამ დაწეროს ბრძანებულება; 3) ასტრახანის გუბერნატორმა და ყიზლარის კომენდანტმა მკაცრად შეამოწმონ, რომ ქართველებს ოსეთში რუსი არ გაყვეს; 4) თუ მისიონერები ოსეთიდან მოხსენებებს გამოგზავნიან, ყიზლარიდან გაუგზავნოს ასტრახანის არქიელს, რომელიც გადაუგზავნის სინოდს; საგარეო საქმეთა კოლეგიამ ეს ცნობები მხოლოდ სინოდისაგან მიიღოს³².

ამ დოკუმენტიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ როგორ უფრთხის რუსეთის მთავერობა თურქეთისა და ირანის გაღიზიანებას.

1745 წლის 12 ივლისს ქართველი არქიმანდრიტი პახომი და ილუმენები ქრისტეფორე და ნიკოლოზი სინოდს მოახსენებდნენ, რომ ისინი 28 აპრილს ყიზლარიდან გაემგზავრნენ და მაისის 5 ჩაეიდნენ ყაბარდოში, მფლობელ ალდიგირეისთან, რომელმაც ისინი პატივით მიიღო; შემდეგ იგი თვითონ წაყვა თავის „ტატარტუპის“ („თათართაფა“) სამფლობელოში, სადაც ნახა 3 ეკლესია (2 უგუმბათო და 1 გუმბათიანი) მეტად მოძველებული და დაზარეული; 5-15 მაისამდე ალდიგირეისთან იყვნენ, ხოლო 15 მაისს ალდიგირეი წაყვა დიგორში, სადაც გავლენიანი ბადელიათებია (კუბატი და მისი შვილები) და უბრძანა მათ, რომ თუ რაიმე ზიანს მიაყენებდნენ მისიონერებს, მათ მოკითხავდა, რის შემდეგ ალდიგირეი უმალ დაბრუნდა; 25 ივლისს მივიდნენ დიგორში კელმემედოვის სახლში; 5) ხალხს მათი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, [მისიონერებს] არც არაფერი დაუკარგავთ და არც არაფერი დაუშავებიათ; 6) ოსები სიამოვნებით ინათლებიან, მაგრამ ღარიბი ხალხია; ზოგან თათრების სარწმუნოებაა, მაგრამ არც იმ სარწმუნოების გაეგებათ რამე; 7) ხალხი გაუნათლებელია, ცხოვრებისა და კვების წესი არ იციან; 8) მოყავთ ხორბალი, ქერი; საკვებად იყენებენ ღვინოს, ლუდს; იცვამენ კამზოლს, ნაბადს და ცხვრის ქურქს (ტულუქს), რომელთაც თვითონ აკეთებენ; პურის ლეწვის

³² დანართი დოკ. №9, 10, 11.

დროს ფუთი 2 მან. და 40 კაპიკია; 9) ყავთ ცხვარი, ძროხა და ხარი, ღორი, ცხენი და ვირი; ხალხი მებრძოლია და იარაღი უყვართ, ქცევით რუსებს გეანან; 10) ყველგან იციან მაქმადიანური წესები, მოკიქელის პატივსაცემად ცხვარს კლავენ, ხორცს თვითონ ჭამენ, ტყავს სარზე ჩამოკიდებენ და თაყვანს სცემენ, მონათლულეებმა ეს მიატოვეს; 11) გლოვის აღწერა; 12) ქორწინება (რძალზე ქორწინდება); 13) მარხვას ერთ კვირას ინახავენ; 14) დადგნენ დიგორში, სადაც მონათლეს ბადელიტები, განხრახვა აქეთ ეკლესია ააგონ; ერთ-ერთ დიდკაცს სურს რუსეთში წამოსვლა; 15) აქაურ დიდკაცებს რუსეთში წამოსვლა სურთ, თუ ნება იქნება; 16) მდ. არდონზე დიდი სოფელია, აქ დიდი მეჩეთია; სოფი მოინათლა; 17) ზურაბ ელიხანოვი ქართველი მეფის სახლშია გაზრდილი და ქართული კარგად იცის, იგი მთელს ოსეთში ცნობილი კაცია, ჩერქეზებიც კარგად იცნობენ; დიდი კაცები მისი ნათესავეები და მოყვრებია, იგი რუსეთშიც იყო და ქრისტიანობის დიდი ერთგულია, რუსეთში უნდა წამოსვლა და კარგი იქნება, თუ მიიღებთო³³.

ამრიგად, 1745 წლის ზაფხულში ქართველი მისიონერები შეუდგნენ ოსების მონათვლას დიგორსა და არდონის მიდამოებში, რაც ნებაყოფლობითა და ინტერესით ხორციელდებოდა.

1745 წელს ჩრდ. ოსეთიდან სასურველი ცნობები მოდიოდა: მოსახლეობის მონათვლა წარმატებით გრძელდებოდა, ოსები რუსული ორიენტაციის სურვილს ამჟღავნებდნენ, ხოლო მათი თავკაცები (სტარშინები) რუსეთში წასვლას და იქ მონათვლას ითხოვდნენ. ეს უკანასკნელი რუსეთის მთავრობის გეგმებს სცილდებოდა (თურქეთისა და სპარსეთის გაღიზიანებას ერიდებოდნენ), ამიტომ სინოდს, სენატს და საგარეო საქმეთა კოლეგიას თავსატეხი გაუხნდა.

1947 წლის 1 თებერვალს არქიმანდრიტი პახომი იუწყებოდა: რამდენიმე ასეული კაცი მოენათლეთ, აქაური სტარშინები და ხალხი პატივით მიჰყვებიან, აზნაურებს სურთ რუსეთში წამოსვლა, რათა ემთხვიონ იმპერატორს, მოინახულონ და რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვონ. ამასვე ადასტურებდა ყიზლარის კომენდანტის თავ. ობო-

³³ დანართი დოკ. №12.

ლენსკის მიერ ოსეთში გაგზავნილი პორუჩიკი ანდრია ბიბილური თავისი 1747 წლის 27 მარტისა და 15 აპრილის მოხსენებებით³⁴.

1747 წლის 7 სექტემბერს სენატი უბრძანებდა საგარეო საქმეთა კოლეგიას - თანახმა ვართ მივიღოთ 5 სტარშინა, მაგრამ გაარკვიეთ, ამით სპარსეთთან ტრაქტატს ხომ არ დაეარღვევით³⁵.

1748 წლის 5 იანვარს საგარეო კოლეგია სენატს 7 სექტემბრის შეკითხვის პასუხად აცნობებდა: საქართველოსა და ყაზარდოს შორის მცხოვრები ოსები ძველად ქართველ მეფეებს ემორჩილებოდა, მაგრამ საქართველო რომ დასუსტდა და იგი სპარსელებმა გაიყვეს, არაყის ემორჩილებიან, ისინი თავისუფალი დარჩნენ და თურქეთთან და სპარსეთთან დადებულ ტრაქტატებში არ არიან მოხსენებულნი. ამასთან, კოლეგია თვლიდა, რომ მათი ერთგულებაზე დაფიცება ნაადრევია, რადგან ქრისტიანობაზე ცოტანი არიან მოქცეულნი. გარდა ამისა, დაფიცება ეჭვებს აღუძრავს თურქებს და სპარსელებს და ეურჩიოთ არქიმანდრიტ პახომს, ფიცის მიღებაზე თავი შეიკავოს³⁶.

მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდა, თვით ოსეთის კომისიაში განხეთქილება მოხდა, რამაც 1748 წელს ფართო ხასიათი მიიღო:

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამისიონერო საქმიანობის დასაწყისში, როცა მას ბაქარ ბატონიშვილი არაოფიციალურად კურირებდა, კომისია მოწოდებული იყო, ქართლელ ბაგრატიონთა გავლენა გაეზრცელებინა სამეფოს სასახლვრო ზონაში. მაგრამ კომისიის ფორმირება და მისი საქმიანობის დასაწყისი 3 წელზე მეტ ხანს გაიწელა. ამასობაში (1744) ქართლი კახელი ბაგრატიონების ხელში აღმოჩნდა. ბაქარს ქართლში დაბრუნების იმედი გადაეწურა და კომისიის საქმიანობაში მისი მონაწილეობის კვალიც კი აღარ ჩანს^[4].

³⁴ დანართი დოკ. №19.

³⁵ იქვე- №14.

³⁶ იქვე- №17.

⁴ 1747-48 წლებში ნადირ-შაჰის გარდაცვალებისა და ირანში არეულობის დაწყებასთან ერთად ბაქარს ქართლში დაბრუნების იმედი კვლავ გაუღვივდა, მაგრამ ერეკლე II ენერგიულმა მოქმედებამ (აბდულაბეგის მარცხი) და რუსეთის მთაყრობის „მტრულმა ნეიტრალიტეტმა“

კომისიის მეთაური არქიმანდრიტი პახომი, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან იყო (რაჭველი), ოსეთის საქმიანობაში ეიწრო „ქართლურით“ კი არ ზომავდა, არამედ მთელი საქართველოს ინტერესებით იყურებოდა. პახომმა უმაღლესი კავშირი დაამყარა იმერეთის მეფესთან ალექსანდრე V-სთან (სოლომონ I მამა), თეიმურაზ II და კახეთის მეფე ერეკლე II-სთან. პახომმა თავისი ძმის (რომელიც იმერეთიდან დაუბარებია) ხელით იმერეთის მეფეს საჩუქრები გაუგზავნა (წიგნები და სხვა), კომისიის საქმიანობით განსაკუთრებით დაინტერესდა კახეთის მეფე ერეკლე II, რომელსაც მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პახომთან³⁷.

თავისთავად ცხადია, იღუმენ ნიკოლოზს (ქსნის ერისთავების ნაშიერს, და, როგორც ჩანს, კომისიაში ბაქარის კრეატურას) ეს საქმე არ მოსწონდა, ამიტომ იგი და მისი ძმა ქაიხოსრო ერისთავი დაუპირისპირდნენ არქიმანდრიტ პახომს.

სინოდის ვრცელ (15-ფურცლიან) მოხსენებაში, რომელიც სენატს გაეგზავნა 1748 წლის 7 ივნისს, ნიკოლოზის მოხსენებაზე დაყრდნობით დაწერილებითაა განხილული კომისიის მუშაობის მიმდინარეობა. აქ ნათქვამია, რომ პახომი ინსტრუქციებს არღვევდა: ოსებისათვის გამოყოფილ თანხებს თვითონ ხარჯავდა, მონათლულ ოსებს ერთი ვერცხლის ჯვრის გარდა არაფერს აძლევდა³⁸; ეკლესიებს ცუდი ქვისაგან აშენებდნენ, ისე, რომ, არც კირს ხმარობდნენ და არც თიხას, სიმალლე 1 საყენია, თავიც არ დაუდგამთ; არქიმანდრიტს ინსტრუქცია ავალებდა, ოსეთიდან და ყაბარდოიდან არ გასულიყო, იგი კი იმერეთში წავიდა თავის სოფელ „რაჭაში“, თავისი ძმა

მუხრანბატონთა წარმომადგენელ ბაქარს აქტიურ მოქმედებაზე ხელი ააღებინა. ამ დღიდან, თელის ავტორი, იგი აღარც კომისიის საქმიანობაში ჩარეულა.

³⁷ *დანართი დოკ. №19.*

³⁸ ბრალდება არც თუ საფუძვლიანი გამოდგა. პახომი არაგის დაუსჯია. იგი შემდგომშიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა დაეაღებულ საქმეს. ახლად მონათლულთათვის გარკვეული თანხა მართლაც ყოფილა დაწესებული. მაგრამ არც თუ დიდი. ბუტკოვის მასალებში ერთი საინტერესო ცნობაა დაცული: „... для поощрения желающих принять христианский закон и поселиться по сюсторону Терека, положено выдавать единовременно... узденям по десяти рублей, простым по пятирублей, а холостым - в половину против того“ (Материалы..., ч. II, СПб., 1869, 1).

ჩამოიყვანა და სახაზინო ფულიდან 10 ჩერკონეცი და 50 მანეთის საჩუქარი (სასულიერო წიგნები, ჯვრები და სხვა) გაატანა, საჩუქრები (წიგნები და სხვა) გაუგზავნა იმერეთის მეფეს, თავადებს და არქიელს; თავისი ძმის ხელით იმერეთის მეფეს წერილებიც გაუგზავნა ოსეთში თავისი საქმიანობის შესახებ. იმერეთის მეფემაც მოსაკითხი გამოუგზავნა და მეფის შიკრიკიც ახლაც მასთანაა³⁸.

ქვემოთ ნათქვამია, რომ პახომმა ქართლის მეფეს თეიმურაზს იერომონახი ეფრემი გაუგზავნა და საჩუქრებიც (წიგნები) გაატანაო, ხოლო კახეთის მეფეს ერეკლეს წერილი გაუგზავნაო; ერეკლემ მადლობის წერილი და საჩუქრები გამოუგზავნა და თხოვა ოსი სტარშინები გამოემგზავნე და დავასაჩუქრებო; პახომს სურს ოსები რუსეთის ქვეშევრდომობაში კი არა, ერეკლეს ქვეშევრდომობაში შეიყვანოსო, ოსები ერეკლეს ქვეშევრდომები გახდნენ, სტარშინებმა ორი თვე მეფესთან დაჰყვეს და საჩუქრებიც მიიღესო³⁹.

1748 წლის 20 იანვარს ასტრახანის ეპისკოპოსი ილარიონი სინოდს აუწყებდა, რომ 8 იანვარს მან ყიზლარიდან მიიღო ოსეთის კომისიაზე მიმავრებული პორუჩიკ ანდრია ბიბილურის მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „1747 წლის 21 დეკემბერს ყიზლარში მოვიდა იერომონახი ეფრემი და გვაცნობა, რომ თავად ქაიხოსრო ერისთავისა და მისი ძმის ილუმენ ნიკოლოზის წყალობით ოსები განგვიდგა და მათი მონათვლა შეწყერდა, არქიმანდრიტი პახომი 7 ოსი სტარშინის თანხლებით მოვიდა, მაგრამ ყაბარდოელი მთავარი არ უშვებს, ამიტომ გამოგზავნა იგი (ეფრემი), რომ ყიზლარის კომენდანტმა რაზმი (კონვოი) გამოყოს, რათა პახომი და ოსი სტარშინები ყიზლარში უშიშრად ჩაიყვანოსო“⁴⁰.

პახომი, რომელმაც ილუმენ ნიკოლოზისა და მისი ძმის ქაიხოსრო ერისთავის ინტრიგებს თავი დააღწია, მანც ახერხებს ოსთა ელჩობის რუსეთში (პეტერბურგში) ჩაყვანას (1749-52), რაც ქართული დიპლომატიის მორიგ წარმატებულ ნაბიჯად გვეჩვენება.

ოსეთის სასულიერო კომისია 50-60-იან წლებშიც, კულტურულ საქმიანობასთან ერთად, პოლიტიკურ მოღვა-

³⁸ დანართი დოკ. №19.

³⁹ იქვე

⁴⁰ იქვე

წიობას აგრძელებდა, იგი რუსეთის ქართულ სამეფოებთან დამაკავშირებელი რგოლი იყო, რომელიც ამ საქმეს მეტწილად ფარულად, 'ზოგჯერ აშკარადაც აკეთებდა.

სამწუხაროდ, ოსურ ისტორიოგრაფიაში მინქმალულია ქართველ მოღვაწეთა როლი ოსეთ-რუსეთის დაახლოების საქმეში და ქართველთა კულტურული საქმიანობის შედეგები XVIII საუკუნეში.

აქვე, უპირიანი იქნება, შევხებით ქართველთა კოლონიაში განვითარებულ მოვლენებს. როგორც ჩანს, აზრი აქ გაიყო: ერთნი კვლავ ვიწრო დინასტიური ტენდენციებით შეპყრობილნი ცდილობენ ხელი შეუშალონ კომისიას მეშაობაში, ხოლო მეორენი, უფრო მეტნი, ცდილობენ როგორმე დაეხმარონ გაჭირვებაში ჩავარდნილ საკუთარ ქვეყანას⁶¹.

თავი II

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის 50-იან წლებში

აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე რადიკალურად შეიცვალა. 1747 წელს შეთქმულებმა ნადირ-შაჰი მოკლეს, ირანი შინაბრძოლებმა მოიცვა. ამით მარჯვედ ისარგებლა კახეთის მეფე ერეკლე II, ზედისხედ დაამარცხა ირანელი სარდლები და ტახტის მაძიებლები, რომლებიც ამიერკავკასიაში გაბატონებას შეეცადნენ, ქართლი გაწმინდა ირანელებისაგან, ქართლის ტახტის მაძიებლებს (იესეს შთამომავალი) საკადრისი პასუხი გასცა. ირანიდან დაბრუნების შემდეგ ქართლის მეფე თეიმურაზ II-ც აქტიურად ჩაება საქმეში და განჯისა და ერევნის სახანოები ქართლის მოხარკე გახადა. ცხეთ ვითარებაში განახლდა პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც ვახტანგ VI შემდეგ, ფაქტიურად, შეწყვეტილი იყო.)

⁶¹ რუსეთში ქართული კოლონიების ჩამოყალიბება-განვითარების შესახებ იხილეთ პროფ. ვ. მაჭარაძის ნარკვევები: "რუსეთში ქართული კოლონიების საკითხი (XVIII საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნა)". მასალები. ნაწ. II; "რუსეთში ქართული კოლონიების საკითხი (XVIII საუკუნის 60-70-იანი წლები)". მასალები. ნაწ. III. ნაკვ. II;

§1. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში

წარმატების მიუხედავად მეფეებმა ლეკთა საკითხის გადაწყვეტა ვერ მოახერხეს. რაკი ირანში შინაბრძოლებიც გრძელდებოდა, საქართველოს უშიშროება სრულად გარანტირებული არ იყო.

ამ ამოცანების გადაჭრას ისახავდნენ მიხნად, როცა რუსეთში ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტეს.

- *ელჩობის შემადგენლობა და მისი საქართველოდან გამგზავრება*

ელჩები საქართველოდან 1752 წლის მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში უნდა გამგზავრებულიყვნენ. მართალია, ელჩების გამგზავრების ზუსტი თარიღი არ ვიცით, მაგრამ რაკი მათ მიჰქონდათ ქართველი მეფეების (თეიმურაზ II და ერეკლე II) წერილები რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პირველისადმი დათარიღებული 1752 წლის 26 მაისით⁴¹ და ასტრახანის გუბერნატორ ბრილკინისადმი დათარიღებული 1752 წლის 27 მაისით⁴², შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელჩიონი საქართველოდან 27 მაისის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყო⁴³. ასტრახანის გუბერნატორი ბრილკინი ელისაბედ I 1752 წლის 23 ივლისს მოახსენებდა, რომ 11 ივლისს მან მიიღო ყიზლარის კომენდანტის პოლკოვნიკ გნევაშოვის პატაკი ქართველი ელჩების ყიზლარში მისვლის თაობაზე⁴³.

⁴¹ დანართი დოკ. №4.

⁴² დანართი დოკ. №5.

⁴³ ელჩობის გამგზავრების თარიღის დადგენისას აუტორი ეყრდნობა 27 მაისით დათარიღებული წერილს, რაც ჩვენი აზრით არ არის სწორი. პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებაში ზუსტად მიუთითებს: „წაყიდა თბილელი მაისს დ (4)“ (იხ. *პაპუნა ორბელიანი*, დასახ. ნაშრ. გვ. 198.). ხოლო ყიზლარის კომენდანტის ცნობით ამ ციხეში მისულან 11 ივლისს. თუ გავითვალისწინებთ, ვხის სირთულეს, მანძილს (დაახლოებით 500 კმ.) და პოლიტიკურად არახელსაყრელ პირობებს, მაშინ ელჩობის მგზავრობის 38-დღიანი პერიოდი საესებით შეესაბამება რეალურ მდგომარეობას (დაწერ. იხ.: *М. А. Полиевктов*. Экономические и политические разведки московского государства на Кавказе в XVI-XVII. Тиф. 1935. Стр. 29-30; ასევე *გ. მაჭარაძე*. მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. II. თბ., 1968. გვ. 43). ასევე დაევაშტებლით, რომ სამეფო წერილები შეიძლება გ'ხაში დაედევნებინათ. ამის უამრავი შემთხვევა გვაქვს.

⁴³ დანართი დოკ. №23.

რაც შეეხება ელჩობის შემადგენლობას, ჩვენ ზუსტად არ ვიცით თავიდანვე რამდენი კაცი იყო, მაგრამ რუსეთში ულუფის გაცემის ნუსხაში მოხსენებულია 17 კაცი: ქართველი მიტროპოლიტი ათანასე, კახელი თავადი სიმონ მაყაშვილი, არქიმანდრიტი ქრისტეფორე, პროტოპოპი [დეკანოზი] ნიკოლოზ „გაერილოვი“, მღვდლები გიორგი „ვარლამოვი“ და სიმონ „დავიდოვი“, დიაკონი გერმანე, პოდლიაკონები [კერძო დიაკონი] გრიგოლ „გეორგიევი“, ივანე „ბორისოვი“ და იოსებ „გეორგიევი“; თავად სიმონ მაყაშვილის მხლებლები: ასნაურები - ივანე „ზურაბოვი“ და დავით „გეორგიევი“; მათთან ერთად მსახურნი: ვასილ „დავიდოვი“, ბორის „ელიზბაროვი“, გიორგი „ბეჟანოვი“, დავით „იყანოვი“, თეოდორე „ფედოროვი“⁴⁴.

მიიღო თუ არა ცნობა ქართველი ელჩების ყიზლარში მოსვლის თაობაზე ასტრახანის გუბერნატორმა ბრილკინმა 1752 წლის 23 ივლისს, იმპერატორს მათი პეტერბურგში გაგზავნის ნებართვა სთხოვა⁴⁵, ხოლო 1752 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით ამის ნება დაერთო ასტრახანის გუბერნატორს⁴⁶. 1752 წლის ნოემბერში ქართველი ელჩები მოსკოვში ჩასულან⁴⁷.

• *ელჩობის ამოცანები და მოლაპარაკება რუსეთის მთავრობასთან*

ელჩობის ამოცანის განსაზღვრისათვის მთავარია ქართველ მეფეთა წერილები და ელჩების განცხადებანი რუსეთის სამეფო კარზე.

თეიმურაზ II და ერეკლე II 1752 წლის 26 მაისს წერდნენ რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულს, რომ თქვენთვის ცნობილია თუ რა უბედურება ეწვია ჩვენს ქვეყანას „წარმართთა მეფეთაგან, რომელთა მივეცენით მოწერად ცოდვათა ჩვენთათვის“⁴⁸. ქვემოთ მეფეები განაგრძობდნენ: „ხოლო, ვინაითგან აწ მყოფსა არა ჟამსა არღარვინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა, ესე მოეხსენოს სიძმიდისა ცასა გონებისა შენსა აწ არს

⁴⁴ დანართი დოკ. №24.

⁴⁵ დანართი დოკ. №26.

⁴⁶ დანართი დოკ. №26.

⁴⁷ დანართი დოკ. №38.

⁴⁸ დანართი დოკ. №21

ჟამი გამოსხნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა. უკეთუ არა სრულიადსა განწირულებასა მიცემულ ვართ ცოდვათა ჩვენთათვის. მოგეხედენ ქრისტიანებსითა შებრალებისა ნაწლევითა, დასდევ კელი შენი ძლიერი და მაღალი ჩვენზედა საკურნებლად განწირულებისა ჩვენისა, ესრეთნი მოუთმენელნი ჭირნი აროდეს მოვლენიეს ქვეყანასა ამას⁴⁹.

ქვემოთ მეფეები განაგრძობენ: „სამეფონი ჩვენნი გარემოცულ არიან უცხო თესლთა წარმართთაგან და დაუცვლებლად ჰყოფენ ჩვენდა მიმართ ზამთარ და ზაფხულ ბრძოლასა, ოკრებასა, კვლევასა და ტყვეობასა და ყრიად უმრავლეს ჩვენსა არიან ძალითა და ჰნებავსთ დარღვევად წმიდათა ეკლესიათა და აღკოცათა სახელისა ქრისტეანობისა“⁵⁰. ქვემოთ: „მოხედვა ყავ შვილთა შენტათვის ჭირსა შინა მყოფთა და ტკივნელთა დაგვიფარენ ჩვენ საფარველითა წმიდისა პორფირისა შენისათა და დაგვიცვენ ჩვენ წარმართთაგან, ვა ენებოს წმიდასა ნებასა შენსა“⁵¹.

მეფეები შეახსენებენ რუსეთის იმპერატორს, რომ “ჩვენი პაპა ნიკოლოზი (ერეკლე I) შეწყალებული იყო რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის მიერ, რომლის წყალობის წიგნის ასლს გაახლებთ ჩვენი ელჩების ათანასე თბილისის მიტროპოლიტის და თავად სიმონის ხელით”⁵².

ვიდრე ელჩები მოსკოვში ჩავიდოდნენ, საქართველოში მდგომარეობა გართულდა. მეფეები გზადაგზა აწვდიდნენ ელჩებს უახლეს ინფორმაციას. „ავვისტოს ბ [2] კიდევ ეს ამბავი მოვიდა აქა, რომ ხვართქარს ტრაპიზონის ფაშასთან ფარმანი მოუწერია და ბრძანება ასე მოსდიოდა, რომ ამას ალი ფაშა ჰქვიან, რვა ათასი თარაყალი და ორი ათასი სუფაი ჯარათ მიუცია და ის უნდა მივიდეს და ყარსისა, ყიზილბაშის და ქართლის სამძღვარში დადგეს და იმავ ფირმანში ესეც უბრძანებია, როდესაც რომ მეფემ ჯარი გთხოვოსთ მაშინვე ჯარიცა და ჯაბახანაც გაუგზავნეთო. ახლა ისინი იმ სამძღვარზე უნდა მივიდნენ და არ ვიცით სათქვენ წავლენ. თავად აქეთ ლეკისაგან და უსჯულოსაგან შიში გექონდა, ახლა მეორე

⁴⁹ დანართი დოკ. №21

⁵⁰ იქვე

⁵¹ იქვე

⁵² იქვე

შიში და ფიქრი იმ ურუმიდან განგვაქვს, არ ვიცით, თუ რა ურუმი რას ფიქრში არის და ჯარი კი მოდის. ეს ამბავი ყდ მოწყალის დიდებულის კარზე უნდა გამოაცხადოთ⁵³.

1752 წლის 25 სექტემბერს თეიმურაზ II ათანასე თბილელს აცნობებდა, რომ აჯი ჩალაბის შეიღმა შეკრიბა დიდი ჯარი ლეკების, განჯელების, ყარაბაღელების, ჯავანშირში, შამშადილუსა და ბაიდარში დადგა. ერეკლემ ჯარები შეკრიბა, ათასი ჩერქეზიც ჩამოიყვანა, ლეკები დაამარცხა, აჯიჩალაბის შეილი შეშინდა, აიყარა ბაიდარიდან და მდ. აღსტაფაზე შეიერდა, შაბათს, 5 სექტემბერს იქიდანაც აიყარა და ქვევით წავიდა, ჩვენ ჯარით შამშადილოში შევედით, რომ ბრძოლა გაგვემართა. მათ ბარგი უკან გაგზავნეს, ხოლო თვითონ შეგვებნენ, ერთი საათი მაგრად იბრძოდნენ, დაუამარცხეთ, გაიქცნენ, ჩვენმა ჯარმა 12 საათის საეალზე სდია და დიდი ზიანიც მიაყენაო⁵⁴.

1752 წლის 25 დეკემბერს ვიცუკანცლერი მ. ეორონცოვი მოახსენებდა იმპერატორ ელისაბედს, რომ ქართველი მიტროპოლიტი ათანასე და თავადი სიმონ მაყაშვილი იყვნენ ჩემთან და გადმომცეს მეფეების თხოვნის წერილის თარგმანი და ითხოვეს, რომ მათ სურთ წარუდგნენ იმპერატორს და თხოვნასთან ერთად გადასცეს მეფეების მიერ გამოგზავნილი სანუქრებიო⁵⁵. ქვემოთ ნათქვამია, რომ ქართველი ელჩები განერებულან პრესნაზე, ტვერის არქიელის ქალაქბარე სახლში და მათ ახლავთ საერო და სასულიერო პირები 13 კაცი. მიტროპოლიტმა ათანასემ თავისი ძმისშვილის, კარის თავადი იაგორ ამილახვარის პირით ითხოვა, რომ მათ ქალაქში მისცენ სხვა ბინა⁵⁶.

ელჩებს პასუხს არ აძლევდნენ, ამიტომ სიმონ მაყაშვილი 1753 წლის 17 აპრილს რუსეთის კანცლერ ა. ბესტუჟევი-რიუმინს მოახსენებდა: „მე და ათანასე მიტროპოლიტი წარმოგზავნილი ვართ ჩვენი მეფეებისაგან წერილებით, რომელიც აცხადებს ჩვენი მეფეების სათხოვარს, რომელსაც თქვენ გაშინჯავთ. გთხოვთ ამ წიგნების

⁵³ დანართი დოკ. №21

⁵⁴ დანართი დოკ. №27.

⁵⁵ დანართი დოკ. №28.

⁵⁶ იქვე. აგრეთვე იხ: პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა. შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981. გვ. 200-202.

პასუხი გვაცნობოთ და უკანვე გამისტუმროთ“. ქვემოთ ქართული ელჩი წერდა: „ამა წიგნების გარდა, რომელიც ერთი კელმწიფესთან არის და ერთი თქვენთან, ამას გარდა ზეპირათ ნაბრძანები მაქვს ჩვენი მეფისაგან, ზეპირათ რომ თქვენის გრაფობის დიდებულების მოვახსენო: ერთი ვინაღდან თქვენის გრაფის დიდებულებას მეუხსენება, შაბაზის ყეენის დროს, როდესაც ის ძლიერი იყო, მაშინ კახეთის მეფის ლევანის ვედრებით რუსეთის კელმწიფისაგან, ალექსი თველორესა ძისაგან მისახმარებელი ჯარი მისცა და შვიდი წელიწადი კახეთში იყო“⁵⁷; მეორე ვინაღდან ყველას მეუხსენება ახლა სპარსეთის საკელმწიფო რა ყოფაში არის, ახლანდელს დროში თუ რაიმე რუსეთის საკელმწიფოდამა ინებება საქართველოს მეფეს და კახეთის მეფეს ჯარს უბოძებს ახლანდელს დროშიგან მოიმედე ვარ ღთისაგან, რომ ღთის ნებით და რუსეთის კელმწიფის შემწეობით შეუძლიანთ ჩვენს მეფეებს სპარსეთის ქალაქების, რომელიც ჩვენს ქვეყანაზე ახლო არის იმის დაჭერა; მესამე, მეფეს ქართლისა და კახეთისას თუმც ყავსთ ოცი ათასი ჯარი, მაგრამ ურჯულს აგარიანთაგან ყოველთვის [...] არიან; ამოენი შეწეენა არა აქვს ჩვენს მეფეებს მუდამთ ჯარი მასათ ყვანდეს, რომ ხარჯის მიცემა არ შეუძლიანთ; მეოთხე, ამას წინათ დიდი ხანი არ არის, ჩვენმა მეფეებმა თითონ დაიბარეს ჩერქეზების ჯარი და მოვიდნენ, თუმცა იმათი მოსულა ჩვენთვის მაგთენი შესამატი არ იყო, მაგრამ ჩვენმა მტერმა ნახეს დიდი შიში შეექნათ და ეგონათ ისინი რუსეთის კელმწიფისაგან... ჩვენ თავის საშველად და რუსეთის ყმანი ვყოფილიყოთ ისე გაშინჯა მტერმა. მეხუთე, ახლა თუ რომ ბრძანება იქნება და რუსეთის რიათი ჩერქეზი, ყაზახი გვეყოფა შემწეთ, ვერც ჩვენს მეფეებს წინაღუდგებიან ამის ძალით მართო ჩვენც კელის დადება გვეყოფა თქვენგან და ჯარის მოსლა ჩვენს მტერს დიდათ შეეშინება; მეექვსე, რომელიც პირიქით ლეკნი არიანი თქვენი მორჩილი და თქვენს ქვეყანაში ვაჭარნი, ან ულუფის მჭამელნი, იმათაც ყადაღა უყავით, ერთი ოქმი უბოძეთ დაეხსნან ჩვენს ქვეყანას. ჩვენთვის ეს დიდად შესამატი არის, ამას ჩვენი მეფეები დიდს წყალობაში ჩააგდებენ, თქვენგან ადვილი არის“⁵⁸.

⁵⁷ დანართი დოკ. №29.

⁵⁸ იქვე.

როგორც ვხედავთ, ელჩისათვის ზეპირი დანაბარები მნიშვნელოვნად ავსებს ქართველი მეფეების თხოვნას, რაც უფრო კონკრეტულ სახეს აძლევს ელჩობის ამოცანებს.

მაგრამ ელჩობას წარმატება არ ეწერა. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ რუსეთში ელჩობის წარუმატებლობა „რომელთამე ქართველთა“ მიზეზით მოხდაო⁵⁸, რა თქმა უნდა, ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება არ მივანიჭოთ, მაგრამ ქართველ ელჩებს შორის რომ უთანხმოება ჩამოყარდნილა, ეს კი უდაოა.

ათანასე თბილელი, მოსკოვის ქართული კოლონიის კახი ბაგრატიონებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის (მისი ძმისშვილების ამილახვრების, თავისი ნათესავის სიმონ ბაგრატიონის მეუღლის და სხვა) გარემოცვაში რომ მომხდარა, თავის მეფეს განდგომია და საქმეს აჭიანურებდა. ეს შეუნიშნავს სიმონ მაყაშიელს და ამ ნიადაგზე ელჩებს შორის უთანხმოებაც ჩამოვარდნილა.

ამას გარდა ათანასე თბილელს ქართველი მეფეებისათვის ჩაუგონებია, რომ სიმონ მაყაშიელი ჩამოეცილებინათ საელჩოს საქმეებისაგან. მეფეებიც ადვილად წამოგებულან ანკესზე და 1753 წლის 6 ივნისის წერილით აცნობებდნენ ვიცე-კანცლერ მიხეილ ვორონცოვს ათანასე თბილელის (ამილახვრის) სრული ნდობით აღჭურვისა და სიმონ მაყაშიელის საელჩოს საქმეებისაგან განთავისუფლების თაობაზე: „3. ჩვენი ყოველი საიდუმლოთ განზრახვით სიტყვანი ვარწმუნეთ ყოვლად სამღვდელოსა ათანასის მიტროპოლიტსა ტფილისისასა და მაგის მიერ მოიწესენეთ. ხ^რთუ სხვამან ვინმე, ანუ თვით ჩვენმა კნიაზმანცა სიმეონ, თუ სხვარიამე სიტყვა მოგახსენოსთ, ყოვლად სამღვდელოსა ათანასეს სიტყვათა გარდა, ცდომილ არს ყოვლად და ნუმცალა ისმენს ელვარე გონება საკვირველ განმზრახობისა მაგის, რამეთუ ჩვენი სიტყვანი მხოლოდ ათანასის მიერ ყოვლად სამღვდელოისა ვანებეთ მოხსენებად“⁵⁹.

ასე, რომ სიმონ მაყაშიელს მეფეებმა რწმუნება აყარეს, მაგრამ საქართველოდან მეფეების განკარგულებამ

⁵⁹ დანართი დოკ. №31.

პეტერბურგში დაიგვიანა. იგი მხოლოდ 1753 წლის 10 აგვისტოს შემდეგ მიიღეს. ამასობაში კი სიმონ მაყაშვილი მოქმედებდა, როგორც ქართველი მეფეების სრულუფლებიანი ელჩი და ამ პერიოდში ორჯერ მიემართავს კანცლერ ბესტუჟევ-რიუმიინისათვის ათანასე მიტროპოლიტთან უთანხმოების თაობაზე.

პირველ წერილში, რომლის რუსული პირი 1753 წლის 2 ივნისით თარიღდება⁶⁰, სიმონ მაყაშვილი აღნიშნავს, რომ „ეინადგან გამოგზავნილი ვართ ჩვენ საქართველოს მეფის თეიმურაზისაგან ქართველი მიტროპოლიტი ათანასე და კახთა მეფე ერეკლესაგან მე მდაბალი მოსამსახურე კნიაზი სეიმონ მაყაშვილი ერთად, მას მიტროპოლიტთან მოვიტანეთ ჩვენ ორთავე ერთად მეფეთა ჩვენთა ორი წიგნი: ერთი მის იმპერატორობითი დიდებულებასთან მადლის სახელზე და მეორე თქვენს მადლის ღრაფობის ბრწყინვალებასთან“⁶¹, რომ „იმ წიგნებში იყო ჩვენი მეფეების სავედრებელი, ახლა ქართლისა და კახეთისა არაფრის განყოფილება არ აქვს რა“, წინათ კი ქართლი მეფე რომ რუსეთს თხოვდა დახმარებას, კახეთის მეფე სპარსეთის მეფის შეწვევას ეძებდა, ახლა „ორთავე მათ მეფეთა სავედრებელს არს ორისგანვე ერთის სიტყვითა“⁶².

ქვემოთ ელჩი განაგრძობს, რომ გასულ წელს მოვედით და მორთმეული წერილების პასუხი არ მიგვიღია, გთხოვთ დაუყოვნებლად მოგვცეთ პასუხი და უკანვე გაგვისტუმროთო⁶³. აქვე სიმონ მაყაშვილი ამხელს ათანასე თბილელს: „ხსენებულმან მიტროპოლიტმან მეფეთაგან ჩვენთა გამოგზავნილი წიგნი თქვენს ბრწყინვალებას არა თუ დროიანად მიართვა, სრულებითაც დამალა, რომლისთვისაცა ჩემსა და მიტროპოლიტს შუა შალაპარაკებისათვის. მე მასთან ერთს სახლში ყოფნა აღარ შემიძლიან, ამისათვის მდაბლად გვეედრები, რომე ახლავე თქვენ ერთი სახლი მიბოძეთ“⁶⁴. ამასთან, მაყაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „თქვენთვის მტრებს რომ მიუხსენებიათ თითქოს მე თქვენ რომ მოხსენებითი ბარათი

⁶⁰ დანართი დოკ. №32.

⁶¹ დანართი დოკ. №31.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

მოგართეით⁶⁵, ის უარმეყო, მიესულიყავი მიტროპოლიტთან და თავი დამნაშავედ მეცნოს, ეს სულ ტყუილია“, „ახლაც იმავე ჩემს მოხსენებულს ვამტკიცებ და ჭეშმარიტად ვამტკიცებ“⁶⁶. მიტროპოლიტმა განმიცხადა, რომ მას ძმისწულმა იაგორ ამილახვარმა ურნია თქვენთვის მეფის წერილი არ მოერთმია და „კინაზ იაღორ ამილახვრის შეიღმა თითონ მეც პირშიდან მითხრა, რომე მაღლის ღრაფობის ბრწყინვალეობას რათ უნდა მივართვათო და მერე ქერივმან სვიმონ ბატონის კნენამ ანა პატას ასულმან, წინათ ხსენებული მიტროპოლიტის ახლო ნათესავმან, მიმიყვანა მე თავისთან და მრავლის ლაპარაკით მითხრა მე სიტყვანი ესრეთნი, რათა მე მორთმეული ჩემი მოხსენება იგივე უარეყო და წინაშე თქვენის ბრწყინვალეობის ბოდიში მოვიტანო, რომე ის ჩემი მოხსენება რუსეთის რიგის უცოდინარობით მომივიდა და ასესორს დავით აბასიძის დარიგებითა და სწავლებითა, რომლისთვის, მე თქვენის ბრწყინვალეობისაგან უფროსი რისხვა არა დამემართება რა ამის მეტი რაიმე დურაკით სახელდებული ვიქნები. და ამისათვის მე მას კნენას უპასუხე, რომ მე ჩემის მეფეების ერთგული მონა ვარ და ამისათვისაც გამომატანეს მე მიტროპოლიტს და მორთმევისათვის იმა წიგნის, რისაც ჩვენმა მეფეებმან თქვენს მაღლის ბრწყინვალეობას მიართვეს“⁶⁷.

აქ უკვე საკმაოდ ნათლადაა გამოკვეთილი, რომ მოსკოვის ქართული კოლონია ორადაა გათიშული - მისი გავლენიანი წარმომადგენლები თავადი ამილახვარი და სიმონ ბატონიშვილის (ვახტანგ VI ძმა) ქერივი ანა ოპოზიციაში უღვანან კახელ ბაგრატიონებს, ხოლო მეორე ნაწილი, დავით აბასიძის⁶⁸ სახით თეიმურაზ-ერეკლეს მხარეზეა.

მაგრამ საინტერესოა, რას მისცემდა ოპოზიციას კანცლერ ბესტუეევ-რიუშინისათვის მეფეების წერილის არგადაცემა, მაშინ, როცა იმპერატორისადმი მორთმეული წერილი ხომ ხელთა ჰქონდა კანცლერს? ალბათ ამით მათ საქმის გაჭიანურება - შეფერხება უნდოდათ, მაგრამ ახლა

⁶⁵ დანართი დოკ. №31.

⁶⁶ საუბარია 17 აპრილის მოხსენებაზე. იხ. იქვე.

⁶⁷ დანართი დოკ. №31.

⁶⁸ დანართი დოკ. №31.

საამისო ამინდი არ იყო და ოპოზიციაც „ხავსს ეკიდებოდა“.

ქვემოთ ელჩი მაცაშვილი კიდევ უფრო აშიშვლებს ოპოზიციას და ანასთან დიალოგს ასე აცნობებს კანცლერს: „მიტროპოლიტისათვის არა ერთგვის მირჩევია მეთქი, მაგრამ მან ის წიგნი არ მიართუა მეთქი და ოდეს მეფენი ჩვენი იმა წიგნის მიურთმეველობისათვის შეიტყობენ მე მათგან სიკედლისა მეშინიან მეთქი და ამისათვის შიშისათვის მე თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალეებას მოვახსენე და ხსენებულს ასესორს დავით აბესაძეს ამ საქმისათვის ცუდათ დანაშაულის თქმა არ შემოიქლიან, ამიტომა რომე, მე ჩემის მოხსენებულის სიტყვით მოგახსენეთ ჭეშმარიტი და მართალი. ამაზე მან კნენამ მითხრა, რომე უნდა ეს საქმე რითაც იყო მოგვარდესო. მე ამის პასუხი უთხარი, თუ რომა მიტროპოლიტი მომცემს მე თავის კელით ნაწერსა და თავის ბეჭედს დამისვამს ამა ძალით რაიმე, ჩვენის მეფეების თქვენს ბრწყინვალეებასთან მოწერილი წიგნი თქვენს მოსართმევად აღარ ამჯობინა და მეფეთა წინაშე ყოველისფრითა მიტროპოლიტი უპასუხებს, მაშინ, მე როცა მივიღებ ამისთანას წერილს, თქვენს ღრაფობის ბრწყინვალეებას რა გვარათაც ვიცი ისე მოვახსენებ მეთქი“⁶⁹.

დასასრულს, ს. მაცაშვილი წერს: „რაც რომა ჩვენის, მეფეების მიწერილის წიგნის მიურთმეველობის მიზეზი ეს არის, რომ მას მიტროპოლიტს აქედამა წასვლა თავის ქვეყანაში მალე არ უნდა და ამასთან მგონია, რომე ნათესავებიც მასვე ევედრებოდნენ და მე უმდაბლესი მონა თქვენის მაღლის ღრაფობის ბრწყინვალეებას მდაბლად გევედრები, რათა მე ხანდაუგვიანებლით აქეთგან გამისტუმროთ ქვეყანას ჩემს, ვინადგან მეფენი ჩვენნი მიქცევაჲს ჩვენის ფრიად მოსურნენი მიგველიან ჩვენ“⁷⁰.

რაკი პასუხი ჭიანურდებოდა, 1753 წლის აგვისტოში ს. მაცაშვილს ისევ მიუმართავს ა. ბესტუჟევი-რიუმინისათვის, სადაც აღნიშნავს, რომ „თუ პასუხი იგი მალე არ გეუბრძანება და ჩვენ ქვეყანას ჩვენსა გასულის ამ თვემდინ გასტუმრებული არ ვიქნებით, უთუოდ აწინდელის

⁶⁹ დავით აბაზაძემ შემდეგ პოლკოვნიკის ჩინს მიიღწია და საგარეო საქმეთა კოლეგია მას საბუთების მთარგმნელად იყენებდა 60-იან წლებში.

⁷⁰ დანართი დოკ. №31

ზაფხულის გზით ქვეყანასა ჩვენსა მისვლა არ შეგვეძლებოდა. ამისათვის რომ კავკასიის მთანი ღია ასასვლელი არის და შემოდგომის დროს ადრე ღია დიდს თოვლს დასდებს და ზამთარ, ამ ზემოწერილის ნამეტნავის თოვლისაგან, გარდასვლა აღარ იქნება“⁷¹.

ქვემოთ ს. მაყაშვილი აღნიშნავს, რომ მიტროპოლიტს თავის ქვეყანაში „მალე წასვლა არ უნდა, ამიტომაც გამოიტანა თავისთვის ნება, რომ აქ მოსკოვს წიროს და სახლიც მიეცა მას ზნამენცკის მონასტერში და მე მომლოდინე პასუხისა აქ უნდა ვიყოფებოდე და უსახლკარობით ექისობდე ჩემის სახლის სადგომს... დავეგები ფერკთა ქვეშე თქვენს მაღალ ღრაფობის ბრწყინვალეობასა და მდაბლად ვევედრები, თუ რომ ვედრებისაებრ ჩვენის მეფეებისა მაღალ ბრძანებადი პასუხი მოწყალეობისა ხანგაუგრძელებლად იქმნებოდეს მე მიბრძანოთ და გამისტუმროთ, და უკეთუ მალე არ შეიძლებოდეს, მაინც მე მდაბალი მონა ჩემის ორის მსახურით ახლავ უწინვე გამგზავნოთ ქვეყანასა ჩემსა, რათა შევიძლო ახლანდელისავე ზაფხულისა გზითა მიწვენა და ზემოხსენებულმან მიტროპოლიტმან მოუცადის მაღალბრძანებადს პასუხს“⁷².

სიმონ მაყაშვილის მოხსენებებმა ვერ დააჩქარა პასუხი. საგარეო საქმეთა კოლეგიაში მხოლოდ 1753 წლის სექტემბრის ბოლოს მიუღიათ გადაწყვეტილება დაეწყოთ სამზადისი ელჩების უკან გასასტუმრებლად. 29 სექტემბერს საგარეო უწყება არქივს თხოვდა ცნობებს იმერეთის ელჩების 1738 წელს დანახარჯების თაობაზე, რათა ამ მაგალითით ესარგებლათ. გაგზავნილი მიწერილობა ითხოვდა: 1. რა მიზნით იყო 1738 წელს რუსეთში გამოგზავნილი იმერეთის მეფის ორი ელჩი და ქართლელი თავადი ერისთავი; 2. რა პასუხით გაისტუმრეს უკან; 3. რამდენი ეძლეოდათ მათ სახარჯოდ და სამგზავროდ მოსკოვსა და პეტერბურგში. თანაც ითხოვდნენ ეს ცნობა ჩქარა გამოგზავნეთ საიდუმლო ექსპედიციაშიო⁷³. თუმცა რუსეთის მთავრობას არც შემდეგ უჩქარია პასუხის გამოგზავნა.

პასუხის დაგვიანებით შეწუხებული ქართველი მეფეები 1753 წლის ოქტომბერში 2 წერილს გზავნიან

⁷¹ დანართი დოკ. №33

⁷² იქვე.

⁷³ დანართი დოკ. №34.

რუსეთში. პირველი წერილით იმპერატორს მიმართავენ თხოვნით ელჩებს პასუხი აღირსონ და მალე უკან გამოგზავნონ⁷⁴; ხოლო მეორეთი - ათანასე მიტროპოლიტს აცნობებენ, რომ იმპერატორს ისეთივე შინაარსის წერილს უგზავნიან, როგორც ადრე გაუგზავნეს და ავალებენ - რუსეთის დიდკაცებს მიმართე, რომ საქმე დააჩქარონო⁷⁵. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, მეფეებს ეეჭვებათ, რომ მათი ადრინდელი (1753 წლის 6 ივნისის) წერილი კანცლერ ვორონცოვისადმი ს. მაყაშვილის საელჩოს საქმეებიდან ჩამოცილების თაობაზე⁷⁶ ალბათ არ მიუღიანო და განმეორებით უდასტურებენ რწმუნებას მიტროპოლიტს: „Мы наше дело, и ныне во всем тебе и твоему преосвященству вверяем. А здесь слышно, что Семен Макоев обманут напрасно, якобы наши к министрам письма вы имели, а не подали. И о сей бездельной лже Семену письменно подтверждено, чтоб впредь от такой глупой лжи воздержался. Оной Семен и сам знает, что при высочайшем таком дворе ложь годна быть не может. Мы во всем тебе верим“⁷⁷.

ქვემოთ მიტროპოლიტს აცნობებენ მისი წასვლის შემდეგ ლეკებთან და აზერბაიჯანელ ხანებთან ბრძოლების თაობაზე⁷⁸.

ძნელი სათქმელია მეფეები ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ ისევ გულუბრყვილოდ ენდობიან ქართლელ თავადს ათანასე ამილახვარს (ათანასე მიტროპოლიტს), თუ მისი საქართველოში ჩამოტყუება სურთ და ამიტომ განგებ უწოდებენ სიმონ მაყაშვილს „უსაქმურ მატყუარას“.

ათანასე მიტროპოლიტმა მხოლოდ 1754 წლის თებერვლის ბოლოს გადაწყვიტა მიემართა რუსეთის მთავრობისათვის ქართველი მეფეების თხოვნაზე. ათანასე თბილელი აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის ცნობილია, რომ მე მისი უდიდებულეების კარზე გამოგზავნილი ვარ ქართლის მეფის თეიმურაზისა და კახეთის მეფის ერეკლესაგან, რომელთა თხოვნა დაყაღებული

⁷⁴ დანართი დოკ. №36.

⁷⁵ დანართი დოკ. №35.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

მაქვს წარმოვადგინო სადაც ჯერ არს ქვემოთ პუნქტებად“:

1. ლეკები გამოუდგებოთ თავს ესხმიან ჩვენს ქვეყანას, ამიტომ მისი იმპერატორის უდიდებულესობამ რამდენიმე ხნით დასახმარებლად გაუგზავნოს მსუბუქი ჯარი ღონის კასაკების, ან ყალმუხების სახით სამი ათასი კაცი და უბრძანოს მხოლოდ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა ქართლსა და კახეთში, რომ ბერძნული (მართლმადიდებლური) ეკლესიები არ დაანგრიონ და ქრისტიანობა არ ამოიძირკოს.

2. თუ ამათი გაგზავნა არ შეიძლება, ყაზარდოელები და ჩერქეზები გვიბოძოს, თითქო ჩვენმა მეფეებმა ნებით დაიქირავეს, ოღონ ხარჯი რუსეთმა გაიღოს, რადგან საქართველოს დიდი ხნით მათი დაქირავება არ შეუძლია მესობლებისგან განუწყვეტელი ომების გამო.

3. დაავალოს ყიზლარის კომენდანტს, რათა მან მისწეროს იმპერატორის მფარველობაში მყოფ რუსეთის მესობელ ხალხებს დადესტნელ ლეკებს და მან აუკრძალოს თავის ხალხს ქართლსა და კახეთზე თავდასხმა, ქვეყნის აოხრება და ქრისტიანების ტყვედ გატაცება⁷⁹.

ძნელია იმის თქმა, ათანასე თბილელმა განგებ შეკვეცა მეფეთა ზეპირი დანაბარების შინაარსი (სიმონ მაყაშვილის 1753 წლის 17 აპრილის განაცხადი უფრო ვრცელი იყო⁸⁰), შესაძლოა ეს ვითარების გათვალისწინებით მოხდა. გაკვირვებას იწვევს ისიც, თუ რატომ დააგვიანა ქართველმა ელჩმა მეფეთა სათხოვარზე 15 თვით განცხადების გაკეთება?

როგორც ჩანს, სიმონ მაყაშვილი მართალი იყო, როცა ეჭვი შეჰქონდა ათანასე თბილელის საქციელში.

მიიღო თუ არა ათანასე თბილელის მოხსენებითი ბარათი⁸¹, რუსეთის კანცლარმა ბესტუჟევი-რიუმინმა 1754 წლის მარტში ვრცელი მოხსენება წარუდგინა იმპერატორივას საქართველოს საკითხზე⁸².

კანცლერის მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ 1752 წლის ნოემბერში მოსკოვში ჩამოვიდნენ ქართლის

⁷⁹ დანართი დოკ. №37.

⁸⁰ დანართი დოკ. №29.

⁸¹ დანართი დოკ. №37.

⁸² დანართი დოკ. №38.

მეფის თეიმურაზისა და მისი შვილის კახეთის მეფის ერეკლეს ელჩები ათანასე მიტროპოლიტი თბილისისა და თავადი სიმონ მაყაშვილი, რომელთაც ჩამოიტანეს მეფეების თხოვნა იმპერატორის სახელზე, სადაც აღნიშნავენ, რომ მათ ქვეყანას აოხრებენ ლეკები და ითხოვენ შემწევობას და მფარველობას, ამასთან მიუთითებენ, რომ მათ აქეთ თეიმურაზის მამის ბატონიშვილ ნიკოლოზისათვის (ერეკლე I) აღექსი მიხეილის ძის მიერ გაცემული წყალობის სიგელი, რომლითაც იგი მიღებულ იყო მეუღმეი ქვეშევრდომობაში და დაცვაც კქონდა აღოქმული⁸³.

ქვემოთ ა. ბესტუჟევი-რიუმინი აღნიშნავს, რომ ელჩთაგან თავად სიმონ მაყაშვილმა წარმოადგინა ბარათი მეფეების მიერ ნაბრძანების თაობაზე: 1. თუ რუსეთის იმპერატორი ინებებს ქართლისა და კახეთის მეფეებს მისცეს ჯარი, ისინი სპარსეთში შეიჭრებიან და საქართველოს მეზობლად მდებარე ქალაქებს დაიპყრობენ; 2. მართალია მათ ყავთ 20-ათასიანი ჯარი, მაგრამ თავდასხმების გამო მათი შენახვა არ შეუძლიათ; 3. თუ რუსეთი უბრძანებს თავის ქვეშევრდომ ჩერქეზებს დაეხმარონ ქართველებს და რუსი კაზაკების რაზმიც გაეგზავნებათ, მტერი მათ რუსეთის სახელის ხსენების შიშით წინ ვერ დაუდგებათ; 4. რუსეთმა უბრძანოს თავის ქვეშევრდომ ყუმუხებს, რომ არ გაბედონ საქართველოზე თავდასხმა⁸⁴.

ქვემოთ კანცლერი იმპერატორს მოახსენებს თავის აზრს:

„По всенижающему Колегии иностранных дел мнению, прошении Грузинского и Кахетинского царей удовольствованы быть не могут, а особливо посылкою к ним на помощь войска как за отдалением, так и за великою неудобностию проходов чрез горы и уские места, о которой неудобности без сумнения и сами они знают. Но чаятельно, для того только сие присылку сюда прошением учинили, даны неприятелем своим, персиянам, а может быть и туркам (от которых они по близости своих земель так же небезопасны), показать будто они, грузинцы, от Российской империи для себя защищение и сильное вспоможение иметь могут, и тем бы неприятелей своих несколько удержать от нападения на них“⁸⁵.

⁸³ დანართი დოკ. №38.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ დანართი დოკ. №37.

როგორც ვხედავთ, რუსეთის კანცლერი საქართველოსათვის დახმარების გაწევის შეუძლებლობას გზის სირთულით ხსნის, რაც, ცხადია, მნიშვნელობას მოკლებული არაა, მაგრამ იგი გადამწყვეტი არ იყო.

საქართველოსათვის დახმარების გაწევის შეუძლებლობის ნამდვილი მიზეზები გაცხადებულია ქვემოთ, როცა კანცლერი რუსეთის ინტერესების დახასიათებაზე გადადის: „А Интересы здешней империи - моахსენებს ა. ბესტუჟევ-რიუმინი ელისაბედ პეტრეს ასულს - напротив того требуют, чтоб самым делом в зашищение грузинцов и в соприяжения с тем персидские дела отнюдь не вступать и немешаться сколь долго турецкой двор в таком же молчании об оных пребудет. И понеж всякой повод к подозрению отнимать подобно, которое турки возиметь моглиб, в том что Российской Императорской двор с грузинскими царями сношение имеет и в тамошныя дела вступает. Того ради, не надлежит на прошении их с помянутым и присланными от них митрополитом и князем Макаевым что-либо письменно ответствовать, ибо такая письменная пересылка у них грузинцев не то скрытна быть не может, но они тем ещё и похвалиться станут“⁸⁶.

აქ გარკვევით ნათქვამია, რომ რუსეთი „სპარსეთის საქმეებში“⁸⁷ არ უნდა ჩაერიოს, სანამ თურქეთი „გაჩუმებულია“ - თავს იკავებს და აღმოსავლეთ საქართველოს არ აწუხებს, ქართველ მეფეებთან ურთიერთობით თურქებს არ მივცვთ აშკარად გამოსვლის საბაბიო. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა, რომ თურქეთი „უწყინარად“ იყო და რუსეთი ამის უბრალო მაყურებელი. სენ არაერთ საბუთს ვიცნობთ XVIII საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, როცა რუსეთის მთავრობა აფრთხილებს თურქებს „ირანის საქმეებში“ არ ჩაერიოს (აღმოსავლეთ საქართველოში არ შეიჭრას), რასაც რუსეთი გულგრილად არ შეხედებდა⁸⁸. რუსეთის მთავრობამ პეტრე I მარცხით კარგად იცის, რომ ირანის სისუსტე საკმარისი არაა კავკასიის საკითხის გადასაჭრელად, ამიტომ იგი იცავს განჯისა (1735) და ბელგრადის (1739) ტრაქტატებს, რომ კავკასიაში status quo

⁸⁶ დანართი დოკ. №38.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის ხელდებულ ქვეყნად ითვლებოდა.

შეინარჩუნოს მისთვის უკეთესი ვარიანტით, რომელიც ნადირ შაჰის სიკვდილის (1747) შემდეგ დამყარდა.

რა თქმა უნდა, რუსეთის კანცლერი აქ არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ ევროპაში ვითარება დაძაბულია. ფრიდრიხ II-ის პოლიტიკამ მრავალი თავსატეხი გააჩინა.

მაგრამ ქართველი მეფეებისათვის ხელის კვრაც არ იყარგებდა, მათთვის იმედის სრული გაცრეება საზიანო იქნებოდა. შეცვლილ ვითარებაში ისინი ძალზე საჭირონი იყვნენ, ამიტომ რუსეთის კანცლერი ქართველი ელჩებისათვის გასაცემი პასუხის პროექტს ასე აყალიბებდა: „Но можно их отпустить обратно с словесным ответом, или токмо для памяти им дать записку на грузинском языке такого содержания:

1. Что при здешнем Императорском дворе с немалым сожалением уведомлено о том утеснении и разорительных нападках, которыми царей Теймураза и Ираклия в грузинских землях окружающие их неприятели христианства обезпокоивают. И что, хотяб и желали им от здешней стороны для защищения издревле пребывающего тамо православия вспоможение подать, но сами они довольно знают, что за великою отдаленностью и непроходимыми местами в горах ни малое войско послать к ним не возможно, разве бы то с другой стороны по способности учинится могло в такое время, когдаб войска здешних внутри персидских земель неходились, как на преж сего дня тамо бывали⁸⁹.

2. Что под именем черкезов разумеется кабардинцы и онные подданными России не состоят, но по заключенному между Российскойю империею и Отоманскою Портою мирному трактату оставлены вольными и потому не могут они от здешней стороны на помощь к грузинцам посланны быть, разве сами они призывать их похотят.

3. С удивлением здесь уведомилось якобы российские подданные кумыки на грузинцов нападении чинят, ибо о сем никакого известия в получении нет, но по прошению их, обретавшимся в Кизлярской крепости командирами не оставится в следствие прежде данных о том указов внов подтверждение учинить, но чтоб и другим горским народам, которые не обретаются в подданстве у России, о том же подтвердить то

⁸⁹ იხ. ჩუენი [ვ. მაჭარაძე] „მასალები“-ს II და III წიგნები.

невозможно, ибо они послушны не будут в том, когда не подданные здешние⁹⁰.

4. Что впрочем грузинской и кахетинской цари обнадужены быть имеют в том, что они с их пародом и землями с высочайшей Российско-Императорской стороны защищением и при поддающихся в пред к тому удобных случаях потребности вспоможением оставлены не будут; ежели токмо сами они к российской стороне усердными и верными всегда постоянно и таким образом пребудет, как родственники их прежние цари грузинские на вечные времена российским государям, блаженные памяти, обещали и присягали⁹¹.

ქვემოთ კანცლერი მიმართავს იმპერატორს, რომ ელჩების უკანვე გაგზავნისას მეფეებს თეიმურაზს და ერეკლეს თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის სახელით სანიუქრებად გაუგზავნით ციყვის კარგი ხარისხის თითო შუბა და თითო ნაჭერი ფარნა (ოქროქსოვილი, ან ვერცხლის ქსოვილი), ხოლო მათ ელჩებს, გარდა კვებისა და სამზავრო ხარჯებისა, სანიუქრად მიტროპოლიტს - 500 მანეთი, თავადს სიმონს - 300 მანეთი, მხლებლებს, ძველი ჩეულებსამებრ, მაგალითისამებრ - არქიმანდრიტს 60 მანეთი, პროტოპოსს - 30 მანეთი, მღვდელს - 20 მანეთი, ურიადნიკს - 10 მანეთი, პოლიანიკს და მსახურებს - 5-5 მანეთი, სულ 950 მანეთი⁹².

დასასრულ კანცლერი გადადის საგარეო საქმეთა კოლეგიის თვალსაზრისით საჭირო ღონისძიებებზე ელჩობის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნავს: საჭიროა ვიცოდეთ, როგორ შეხვდებიან ქართველი მეფეები ელჩობის შედეგებს, დაკმაყოფილებიან და დარჩებიან რუსეთის ორიენტაციის მომხრეებად? თურქები თავშეკავებული დარჩებიან, თუ ეცდებიან ისარგებლონ სპარსეთში უმეფობით და შეეცადებიან რომელიმე პროვინციას დაეუფლონ? რაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეუშვათ. წინასწარ გავიგოთ და საამისოდ საჭირო

⁹⁰ ქვემოთ გაგრძელება გადახაზულია: „и потому необходимо надобно и ныне себя собственным войском охранять, к чему они сами чаятельно и в состоянии быть могут, когда токмо своих землях оборонительно себя содержать будут“.

⁹¹ ქვემოთ პროექტიდან კანცლერს გადაუხაზავს: „Что российским подданным кумыкам наперед сего уже было приказано чрез об оставшихся в Кизлярской крепости командиров, а сверх того и ныне ещё накрепко подтверждено будет“.

⁹² *დანართი დოკ. №38*

ზომები მივიღოთ. ამიტომ საჭიროა თურქეთის მოსაზღვრე ქ. თბილისში გავგზავნოთ საიმედო კაცი, რომელიც ვითარებას დახვერავეს. მაგრამ რუსი არ შეიძლება გაიგზავნოს, რომ სპარსელებმა და თურქებმა ეჭვი არ აიღონ. მიზანშეწონილია იქაური კაცი - ქართველ ჰუსართა პოლკის კაპიტანი ოთარ თუმანოვი გაიგზავნოს, რომელიც თავდებად აქ ტოვებს თავის შვილს, რომელიც იმავე პოლკში პროპორშიკია. მისი ცოლიც და დანარჩენი შვილებიც რუსეთში რჩებიან. საქართველოში თავისი სახლი და სოფლები აქვს, მრავალი ნათესავიც ჰყავს და იქ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე იცხოვრებს, ხოლო საჭირო ცნობებს ყოზღარიდან გამოგზავნის. თუ იმპერატორის ნება იქნება, კოლეგია მას 2 წლით გაგზავნის საქართველოში და დავალებას წესიერად შეასრულებს, ხოლო ეჭვების გასაფანტავად მას კოლეგია მისცემს პასპორტს, რომ იგი თავისი სურვილით, თავისი მეურნეობის საქმეების მოსაგვარებლად გაშვებულია სამშობლოში; საგარეო საქმეთა კოლეგია მას მისცემს 300 მანეთს, ხოლო ცოლ-შვილის შესანახად აქ სამხედრო ხაზინიდან ჩვეულებრივ იმ ჯამაგირს მიიღებს, რასაც იღებდა⁹³.

კანცლერის მოხსენება საფუძვლად დაედო ქართველი მეფეების თხოვნაზე პასუხს (1754 წ. მარტი): 1. საიმპერატორო კარი სიბრალულს გამოთქვამს იმის გამო, რომ თეიმურაზისა და ერეკლეს ქვეყნებს საქრისტიანოს მტრები მოსვენებას არ აძლევენ, მაგრამ მეფეებმა თვითონ იციან, რომ სიშორისა და უგზოობის გამო იქ ჯარი ვერ გაიგზავნება, ხოლო რუსეთის ჯარი შუა სპარსეთში რომ ყოფილიყო, მაშინ ეს მოხერხდებოდა; 2. „ჩერქეზები, რომელ არს ყაბარდოელნი, ისინი რუსეთის რაიათნი, გინა ყმანი არ არიან⁹⁴, ვინადგან იმპერიამ და ურუმჩან ერთმანეთის შერიგების წიგნში ნებისა⁹⁵ ყვეს, ამიტომ შემძლე არ არის ეს მხარე, რომ ისინი ქართველების მოსახმარათ გაგზავნოს. და თუ რომ ისინი ერთი ნების უფლობით ინებებდენ, ის სხუა არის“; 3. „უცხო გვესმა, ვითომ რომ რუსეთის რაიათნი კუმუხი ქართლს რომ აოხრებდეს, ვინადგან ამისი ამბავი არსით არ მოგვესლია, მაგრამ ვედრებისაებრ მათისა ყოზღარისა ციხის უფროსების

⁹³ იქვე.

⁹⁴ აქი თავს იკლვენ “XVI საუკუნეში შეუერთდარი?”

⁹⁵ იგუსლიხჩიება ბელგრადის ტრაქტატი.

მიუწერელი არ დარჩება, რომ პირველ ბრძანებისაებრ ყადაღა უყოს; 4. რომელიც მათის რუსეთის რაიათნი არ არიან⁹⁶. იმათი ყადაღის ქნა არ იქნება, ამიტომ რა რომ ემა არ არიან, არც გამგონე იქნებიან“; 5. „ქართლის და კახეთის მეფენი მოიმედენი იყვნენ, რომ ისინი იმათის ქვეყნების და ხალხით დიდებულის რუსეთის იმპერატორის მხრიდამ დაფარულნი და მომავლის დროცემის მოხმარებით დაგდებული არ იქნებიან, თუმცა რომ თითონაც ისინი რუსეთის მხარისა ყოველთვინ ერთგულნი და იმ სახით იმყოფებიან, როგორითაც ნათესავნი მათნი პირველნი მეფენი ქართლისანი, რომელთაც საუკუნით რუსეთის ნეტარხსენებულ ხელმწიფეებს აღუთქვეს და ფიცყვეს“⁹⁷.

ეს პასუხი უცხადდებოდა და ეძლეოდა ელჩებს მეფეებისა და მათ თხოვნაზე. გარდა ამისა, მეფეებს ეგზავნებოდათ საჩუქრები: „თითო ტანი“ სიასამურის (ფასი 35 თუმანი და 7 მანეთი), ფარჩა “ოქროსა და ვერცხლისა ასოცდათხუთმეტი თუმნისა ას სამოცდახუთის კოპიკისა“; ელჩებს, მსლებლებითურთ, ეძლევათ საჩუქრად: „თეთრათ: მიტროპოლიტს ორმოცდაათი თუმანი, კნიაზს ოცდაათი თუმანი, არქიმანდრიტს ქრისტეფორეს ხუთი თუმანი, მღვდელს სეიმონს ორი თუმანი, ორს ფოდიაკს იოსებს და ივანეს და ოთხს მოსამსახურეს კაცისთავს ხუთ-ხუთი რუბლი, სულ იქნება ოთხმოცდათხუთმეტი თუმანი“⁹⁸; გარდა ამისა, ელჩებს ეძლევათ უღუფა და საგზალი, გამცილებლები საზღვრამდე⁹⁹.

ელჩების გამომგზავრების საკითხი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ათანასე თბილელმა ახალი მიზეზი მოიღვა და საქმე გართულდა. 1754 წლის მაისში მიტროპოლიტი საგარეო საქმეთა კოლეგიას წერდა: გასამგზავრებლად მზადა ვარ და იმპერატორის პასუხს ველოდები, ოღონდ ჯანმრთელობა გამიუარესდა, ამიტომ საკმაო გამცილებელი რაზმი მჭირდება, ხოლო გამცილებლად თბილი-სამდე იქნებ გამატანოთ მთავარ პოლიცემისტერის კანცელარიიდან „სვანეთის ქვეყნიდან კაპიტანი თავადი გაბრიელ გელოვანი, რომელსაც თბილისიდან მეფეების

⁹⁶ დანართი დოკ. №38.

⁹⁷ ელჩების თხოვნაში მოხსენებულნი იყვნენ ლეკები და სხვები.

⁹⁸ დანართი დოკ. №38.

⁹⁹ იქვე

მადლობით გამოვისტუმრებთო, გასაცილებლად მე 20 ფურგონი მომეცით, ხოლო ჩემს ამაღლაში მყოფ თავად მაყაშვილს ოთხი¹⁰⁰.

შემდეგ მიტროპოლიტი განაგრძობდა: „1754 წლის 9 ივნისს სენაკში მომიტანეს მეფეებისათვის გადასაცემი საჩუქრები და მთხოვეს ხელი მომეწერა თავ. მაყაშვილთან ერთად, რაც ჩემთვის შეურაცხყოფელია; ეს ალბათ ასესორმა აბასაძემ მტრობით გამიკეთა; გთხოვთ გამცილებლად გამომიყოთ თავადი გელოვანი, ასევე გთხოვთ თქვენს კანტორას უბრძანოთ, რომ მე გამგზავრებას ადრე ნუ მაიძულებენ.“¹⁰¹.

მალე, 1754 წლის ივნისშივე (30) ათანასე თბილელი ისევ მიმართავს ვიცე-კანცლერ მ. ვორონცოვს: „წინასწარ ვგზავნი საქართველოში ჩემი ამალიდან არქიმანდრიტს, არტამან მღვდელს, გელოვანს, საჩუქრებით, რის თაობაზე საგარეო საქმეთა კოლეგიას თხოვნა გადაუგზავნე; წინასწარ ვუშვებ ორი მიხესით: პირველი, მსურს ჩემმა მეფეებმა უმაღლესი რუსოლუცია წინასწარ შეიტყონ; მეორე, მაწუხებს ჩემი მტრების ზრახვები, რის თაობაზე მოგწეროთ მეშინია. მე მსურს ერთხანს კიდევ დავრჩე რომ გამოეჯანმრთელდე; გთხოვთ ამის თაობაზე წერა დამართოთ და უბრძანოთ თავ. მაყაშვილს გაემგზავროს, ოღონდ საჩუქრები, თუ შეიძლება მას არ ჩააბაროთ¹⁰².

თავადი სიმონ მაყაშვილი ადრევე (1753 წლის აპრილსა და აგვისტოში) ამჩნევდა, რომ ათანასე თბილელი სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებდა¹⁰³, ამიტომ 1754 წლის ივნისში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას მოახსენებდა: 1. 5 ივნისს მივიღეთ იმპერატორის პასუხი ქართულ ენაზე, რომელშიც დაიმედებული მეფენი და ბრძანებულება მიეცა ყიზლარის კომენდანტს, რომელსაც შეუძლია ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანოს, ხოლო ჩვენ ზეპირად გაგვიცხადეს, რომ შეგვიძლია დაუყოვნებლივ გავემგზავროთ; 2. მე თვით მრავალგზის ვევედრე მიტროპოლიტს და არქიმანდრიტ გრიგოლის პირითაც ვთხოვე, რომ დამიჯერონ და გავემგზავროთ, რადგან დაგვიანება ჩვენი სამშობლოსათვის საზიანოა და

¹⁰⁰ დანართი დოკ. №40.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² დანართი დოკ. №41.

¹⁰³ დანართი დოკ. №44.

იმპერატორის ნების საწინააღმდეგოც, ბრძანებულება ყიზლარის კომენდანტისადმი წავიღოთ, მაგრამ მიტროპოლიტ ათანასესაგან ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე. მხოლოდ იმას აცხადებს, რომ სანამ ჩემ საქმეს არ დავასრულებ ვერ წამოვალ, ეს შეიძლება მოხდეს 15 აგვისტოს; 3. მე ვხედავ, რომ მიტროპოლიტს განზრახული აქვს დიდხანს დარჩეს აქ, ხოლო ჩვენ უმისოდ გამგზავრება არ შეგვიძლია; ახლა გთხოვთ მე მიბრძანოთ მარტო გავემგზავრო და ბრძანებულება ყიზლარის კომენდანტისადმი მე მომცეთ, რომ მე ის წინასწარ გადაეცე და სამშობლოში დაუბრკოლებლად დავბრუნდე. მოსკოვში მე ვთხოვე უცხოეთის საჭირო კანცლერის მრჩეველს (иностранного публичного советника - კანცლერის მრჩეველი უცხოეთის საქმეებში) ტეპლიცკის, რომ მე მიბრძანონ ცალკე გამგზავრება, მაგრამ მან მიპასუხა, რომ მას ეს არ შეუძლია, „без великой канцелярии“, ამიტომ მე შიში მაქვს, რომ თუნდაც ებრძანოს მიტროპოლიტს გამგზავრება, იგი ცარიცინში ან ასტრახანში „წამოწვება“ და მე ისევ სირთულეები შემექმნება¹⁰⁴.

თავად სიმონ მაყაშვილის თხოვნის მიუხედავად, მიტროპოლიტმა ათანასემ საგარეო საქმეთა კოლეგიას 1754 წლის 30 ივნისს უკანვე დაუბრუნა 3 ბრძანებულება: 1. ცარიცინის კომენდანტის პროტოპოპოვის ცარიცინიდან გემების გამოყოფის; 2. ასტრახანის გუბერნატორის ჟილინისადმი - ასტრახანიდან გემებისა და მენაყეების მიცემის და 3. ყიზლარის კომენდანტ ფრაუნდორფისადმი - გაეფრთხილებინა ანდრეევის, აქსოს [აყსუს], ბრაგულინის და კოსტუევის მცხოვრებთათვის არ გაბუდონ საქართველოზე თავდასხმა¹⁰⁵. 7 აგვისტოს საგარეო საქმეთა კოლეგიამ მიწერილობა გაგზავნა მოსკოვის კანტორაში, რომელშიც ათანასე თბილელის საქციელი (ბრძანებულებების უკან დაბრუნება) თავხედურადაა შეფასებული.

ათანასე თბილელი მოსკოვში დარჩა, ელჩობა სამშობლოში დაბრუნდა.

1754 წლის 4 დეკემბერს თეიმურაზ II და ერეკლე II რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას წერდნენ: „წელსა ჩღნბ ჩვენი არქიერი ათანასი და კნიაზ სვიმონ ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს რომ ვაახელით და ჩვენი წარ-

¹⁰⁴ დანართი დოკ. №44.

¹⁰⁵ იქვე.

მართთაგან შეიწრება მათის იმპერატორობის დიდებულებას მოვახსენეთ, რაც მათის ყოველად მოწყალებისაგან წყალობა და ნუგეში მოგვეფინოდა დიდათ მადლობით მივიღვეით და ემადლობთ მათს უხვს მოწყალებასა. ერთს ამას ვედრებით მოვახსენებთ მათს სიმაღლესა, რომ ყოველად დიდებულის ხელმწიფის უხვის მოწყალებისაგან უსასოსა და უნუგეშისცემოს არ დაგვაგდებთ. ჩვენი თვალი და გული მარადისინ მხოლოდ მათის იმპერატორობის ყოველად დიდებულის წყალობის მომლოდინე არის და არა სხვისა ვისმე მოქენე. ჩვენ რომ თქვენს სიმაღლესთან ერთი სამსახური არა გვიძღვის რა, მაგრამ ერთ სჯულობისა და ქრისტიანობისათვის შემოგბედეთ და მოვახსენეთ¹⁰⁶.

ათანასე თბილელი მოსკოვიდან არ იძვროდა, თუმცა დაპირებას იძლეოდა გამოჯანმრთელების შემდეგ გავემგზავრებო. 1755 წლის 25 ნოემბერს მიყვებმა დაბეჯითებით თხოვეს რუსეთის მთავრობას მიტროპოლიტი დაუყოვნებლივ საქართველოში დააბრუნეთო: „ქ. წელსა ჩვენ ყდ მოწყალეს ხელმწიფეს რომ არსა მივართვით, ჩვენი თავი და ქვეყანა შემოვახვეწეთ და ტფილისის მიტროპოლიტი ათანასი და კნიაზი სიმონ ვაახელით, როდესაც ამათვის დასტური გებოძათ წამოსვლისა კნიაზი სიმონ მოვიდა, რაც ყდ მოწყალის ელმწიფოს ნუგეში და წყალობა მოგუფინოდა მოგეიტანა და ამისი მადლობა ჩვენ დაბაღთა მონათა მიერ ინოსტრანნია კოლეგიასაც მოხსენდა¹⁰⁷. და ეს ზემორე მოხსენებული ტფილისის მიტროპოლიტი ათანასეს თვისის სნეულების მიზეზით წამოსვლა რომ არ შეძლებოდა მანდავ დარჩომილიყო, ახლა ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლესა, ეს ზემოხსენებული არქიერი წარმოგვივლინოთ, რომ თვისავე ადგილს დავადგინოთ. მაგის ეკლესიას მაგისი აქ ყოფნა დიდათ ეჭირვება და თუცა რომ მაგისი ნებაც არ იყოს მანდიდამ წამოსვლისა, წყალობას ვითხოვთ, რომ მაინც არ დააყენოთ მანდა და წარმოგვივლინოთ¹⁰⁸.

როგორც ვხედავთ, მეფეები კატეგორიულად ითხოვენ მიტროპოლიტის სამშობლოში დაბრუნებას.

106 დანართი დოკ. №44

107 დანართი დოკ. №47

108 დანართი დოკ. №49

ათანასე მიტროპოლიტმა კი ჯერ დროებით დარჩენა ითხოვა გამოჯანმრთელებამდე, ხოლო როცა ელჩობა საქართველოში გამოისტუმრა სინოდისათვის მიუმართავს თხოვნით რეესეთში სამუდამოდ დარჩენის თაობაზე. 1754 წლის 23 დეკემბერს სინოდმა შეტყობინება გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომელშიც ნათქვამი იყო: „Митрополит Афанаси поданым прошением предъявил, что он усматривая в себе от продолжающихся болезней, при настоящей старости изнеможение, которое его от времени до времени к предприятию дальнего во отечество его пути приводит в несостояние, а особливо, слыша он митрополит о происходящих не токмо в Грузии, но и во всех окружных странах замешательствах, в которых и светского чина люди неудобноносимую жизнь провоздают, а духовного чина людям и совсем невозможное пребывание, - желание имеет остальную жизнь свою препроводить в Российской империи под высочайшею Ея Императорского Величества протекцию, и просит, чтоб дозволено было ему митрополиту пребывать в России, и на содержание его определено было жалованье. Того ради, требовано оным указом от Коллегии уведомления, зачем он из Грузии сюда в Россию прибыл и можно ль ему по желанию и прошению его здесь в России на пребывание оставлену быть“¹⁰⁹.

როგორც ვხედავთ, ათანასე მიტროპოლიტმა „სიბერესა“ და „ავადმყოფობას“ დაუმატა ისიც, რომ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში არეულობაა და იქ წასვლა არ შემძლეაო.

1755 წლის 21 დეკემბერს საგარეო საქმეთა კოლეგია სინოდს უპასუხებდა: მიტროპოლიტი ჩამოვიდა საქართველოდან თავად მაყაშვილთან ერთად ქართველი მეფეების წერილით, რომელზედაც პასუხი გაეცა და გამგზავრებაც ებრძანა, მაგრამ მან ავადმყოფობის გამო დროებით დარჩენა ითხოვა, ელჩობა გაგზავნეს საქართველოში. მიტროპოლიტი დარჩა მოსკოვში. მიტროპოლიტი უნდა გამგზავრებულყო, მაგრამ რაკი დარჩენას ითხოვს, ამის თაობაზე თავის მეფეებს უნდა თხოვოს ნებართვა¹¹⁰.

საგარეო საქმეთა კოლეგიის აღნიშნული პასუხის შემდეგ სინოდმა გადაწყვიტა: „через Синодальную кантору объявить митрополиту Афанасию, и чтоб он истребовал себе от

¹⁰⁹ დანართი. დოკ. №50.

¹¹⁰ იქვე.

владельцев своих дозволение к пребыванию в России, а до того времени ему митрополиту, будучи в Москве исправлять в Московских соборных и других церквах священно-служение с получением за то на содержание своё, с подчиненными служителями до будущего рассмотрения и указу, жалованья против бывшего Иосифа архиепископа грузинского по 500 руб. в год, которое производить из Московской реит...., из положенной на грузинских духовных персон суммы~¹¹¹.

1756 წელს საქართველოდან სიმონ მღვდელი ჩავიდა, რომელმაც კანცლერს და ვიცე-კანცლერს 2 წერილი გადასცა ქართველი მეფეებისა, რომლებიც ათანასეს სამშობლოში გაგზავნას ითხოვდნენ, ამიტომ საგარეო საქმეთა კოლეგია 10 მაისის მოხსენებით სინოდს აცნობებდა, რომ 'удержать его митрополита в России непристойно'¹¹².

ამის შემდეგ სინოდმა ორი ბრძანებულება გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას: პირველი, 5 ივლისისა, რომ კოლეგიამ მიიღოს ზომები მიტროპოლიტის გასამგზავრებლად, ხოლო მეორე - 21 აგვისტოსი. მიტროპოლიტის დარჩენა, რაკი სინოდის სათანადო შტატიც გააჩნია, არ უჭირს, ამიტომ საქმე კოლეგიამ გადაწყვიტოსო. 13 სექტემბერს კოლეგია უპასუხებდა სინოდს, რომ მიტროპოლიტი საგარეო საქმეთა კოლეგიამ გაგზავნა და განსახილველი არაფერი გვაქვსო¹¹³.

1756 წლის 9 ოქტომბერს სინოდი საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა: 'Святейший Синод из вышеозначенного требования грузинских владельцев не усматривая важнейшей причины для которой бы тому митрополиту в Россию остаться было конечно невозможно, кроме того, что он потребен токмо на своё место в его епархию, которою-де потребу и без него митрополита чрез много кого исполнить можно, а в Москве, за крайним в архиереях недостатком, в исправлении в празднишные и высокоторжественные дни священнослужения и крестохождении, обстоит необходимая нужда, определил: по желанию и прошению того митрополита остаться ему здесь в России, в вечном подданстве'¹¹⁴.

¹¹¹ დანართი. დოკ. №32.

¹¹² იქვე.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ დანართი დოკ. №50.

ამრიგად, ათანასე თბილელმა მიადწია რუსეთში სამუდამოდ დარსენის ნებართვის მიღებას.

ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშიელის ელჩობა რუსეთში მნიშვნელოვანი ფაქტია ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. ელჩობის მნიშვნელობის შეფასებისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამოვიდოდეთ იმ ფაქტიდან, შესრულდა თუ არა ყველა დავალება, რომელიც ელჩებს დააკისრეს.

მაგალითად, რაკი ათანასე თბილელსა და სიმონ მაყაშიელს დამხმარე ჯარი არ გამოატანეს, გვეთქვა: ელჩობა უშედეგოდ დაშთაერდაო, შეცდომა იქნებოდა. საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ცხოვრების რთული მხარეა, თანაც მეტად ფაქიზი, რომელსაც ფრთხილი მიდგომა სჭირდება. ელჩის ერთი ჩასვლით, რომ ყველაფერი კეთდებოდეს, მაშინ მუდმივი წარმომადგენლობის ყოლაც საჭირო აღარ იქნებოდა. არცერთი ელჩობა, მიუხედავად იმისა, მან მიადწია თუ არა დასახულ მიზანს, უშედეგო არ არის. ხსენებულმა ელჩობამ ბევრი რამ გაახადა ცხადი: 1. ამ ელჩობით განახლდა დიდი ხნის შეწყვეტილი ურთიერთობები; 2. მართალია, ამ დროს რუსეთს არ შეეძლო უფრო ქმედითი დახმარება, მაგრამ სამომავლოდ პირობებს დებდა; 3. გარკვეული ღონისძიებები ერთმორწმუნეთა დასახმარებლად მაინც გატარდა; 4. თავად ქართველი მეფეებიც კი არ ელოდნენ დიდ შედეგებს. ამ ეტაპზე მათთვის ვახტანგის ნაშეერთა საწინააღმდეგოდ ქართლის ტახტზე უფლების მოპოვებაც დიდი საქმე იყო; 5. ქართული სათეისტომო რუსეთში ორ ნაწილად გაიხლინა. უფრო კონსერვატული ნაწილის მცდელობა, ხელი შეემაღათ პროგრესული ღონისძიებებისათვის, მეორე ნაწილის აქტიურ პროტესტს იწვევდა.

§ 2. *თთარ თუმანოვის მისია საქართველოში*

1754 წლის მარტში საგარეო საქმეთა კოლეგიამ იმპერატორს წარუდგინა ქართველი მეფეებისათვის გასაცემი პასუხისა და ელჩების სამშობლოში გასტუმრების პროექტი, რომელშიც ნათქვამი იყო: „когда оные митрополит Афанасий и князь Макаев с ответом здешним и с награждением в Грузию возвратятся, небезнужно было бы ведать каким образом сие от царей принято будет. Удовольствуются они здешним ответом и останутся ли к здешней стороне преклонными“¹¹⁵.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს იცოდეს, თუ როგორ შეხედებიან ქართველი მეფეები რუსეთიდან მიღებულ პასუხს.

მაგრამ, რაც მთავარია, რუსეთის მთავრობას განსაკუთრებით ის აფიქრებს, თურქეთი ხომ არ შეეცდება სპარსეთში არსებული ვითარებით ისარგებლოს: „А особливо нужно иметь оттуда частые и верные ведомости о тамошних происхожденииях и что в Персии делается? И не будет ли иногда движения от турков к границам или внутр Персии в тайном намерении, чтоб настоящими тамо замешательствами, когда шахом никто ущё совершенно не утвердился, пользоваться и некоторыми землями завладеть, к чему с здешней стороны отнюдь не допускать к заблаговремени осведав потребные мери принимать надлежит. И для того надобно тамо в удобном к разведиванию мест, а имянно: в програничном с турками грузинском городе Тифлис на некоторое время особливого человека иметь, но из российских туда послать от турков и персиян подозрительно и опасно будет“¹¹⁶.

ამრიგად, რუსეთის მთავრობა საქართველოსათვის რეალური დახმარების გაწევას თურქეთის გაღიზიანების შიშით ვერ ბედავდა, მაგრამ იმისიც ეშინოდა, თურქებმა ჩუმად არ გადადგან რეალური ნაბიჯი, ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ გზა გადავუღობოთ.

ამასობაში კი მზევრავად რუსის გაგზავნა არ შეიძლებოდა, საგარეო საქმეთა კოლეგას, ქართველ თავადთაგან შეურჩევეა მზევრავი, რომელსაც თვითონ შე-

¹¹⁵ დანართი. დოკ. №39.

¹¹⁶ იქვე.

უთავაზებია სამსახური: „А представляет себя к тому, обретающейся в службе здешней в грузинском гусарском полку капитан князь Отар Туманов, которой сверх того, что имеет в том же полку прапорщиком сына своего вечною службою обязанного, для уверения оставляет здесь в России жену свою с другими детьми, а в Грузии свой дом и деревни, также и многих свойственников имеет и потому без всякого подозрения тамо пребывать, а нужные ведомости способно доставить и по часу в Кизлярскую крепость присылать может“¹¹⁷.

დასასრულ, დოკუმენტში ნათქვამია: „И ежели высочайшее Вашего Императорского Величества соизволение на то будет, то по всенижайшему Коллегии иностранных дел мнению, можно помянутого капитана князя Отара Туманова в Грузию на два года отпустить. И поручить ему о всем вышеписанном прилежное разведывание, а для скритности сего намерения дать ему из Военной Коллегии паспорт в том силе, что он по желанию своему, из за исправления домашних нужд, в отечество его отпущен“¹¹⁸.

• ვინ იყო თავადი ოთარ თუმანოვი?

როგორც ცნობილია, ემიგრანტთა ერთი ნაწილი, ვახტანგ VI გარდაცვალების შემდეგ რუსეთის სამსახურში შევიდა. ისინი მსახურობდნენ: ქართველ ჰუსართა პოლკში, რეგულარულ არმიაში და სახელმწიფო დაწესებულებებში. ოთარ თუმანოვი ქართველ ჰუსართა პოლკში მსახურობდა და 1750 წლისათვის საკმაოდ მაღალი ჩინისათვის - კაპიტნობისათვის მიუღწევია. 1750 წლის სექტემბერში ოთარ თუმანოვმა რუსეთის მთავრობას მიმართა თხოვნით - გაეგზავნათ მზვერავად თბილისში, რათა იქ შეეტყო სპარსელისა და თურქების ზრახვები და საქართველოს ვითარება, რის თაობაზე ცნობებს მიაწვდიდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას. პროფ. ი. ცინცაძეს განხილული აქვს ის მოტივები, რომლის გამოც ო. თუმანოვს უნდა გადაეწყვიტა მზვერავად გახდომა¹¹⁹ და მასზე არ შევნიერდებით.

¹¹⁷ დანართი. დოკ. №39.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ იქვე.

1750 წლის სექტემბერში წარდგენილ მოხსენებით ბარათში, ო. თუმანოვი ითხოვდა რა საქართველოში გამოშვებას, ირწმუნებოდა, ერთგული ვარ და თავდებად რუსეთში ტოვებდა თავის შვილს ივანეს, რომელიც ჰუსართა პოლკში პრაპორშნიკი ყოფილა და ცოლსა და დანარჩენ შვილებს¹²⁰.

1754 წლის 21 მარტს იმპერატორმა მონიწონა და დაამტკიცა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინადადება¹²¹, ხოლო 1754 წლის აპრილში შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც ო. თუმანოვს მიეცა სამოქმედოდ. ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ რაკი თქვენ საქართველოში საკუთარი სახლი გაქვთ და ნათესავეები გყავთ, შეგიძლიათ იქ უშიშრად იყოთ, ამიტომ გიშვებთ საქართველოში 2 წლით, თითქოს თქვენი ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად, ნამდვილად კი დასაზვერად და გაუაღლებთ: 1. როცა ელჩები ათანასე და სიმონ მაცაშვილი საქართველოში დაბრუნდება „то таким образом все сие от оних царей принято будет, удовольствуются ли они здешним ответом и останутся ль к здешней стороне преклонными? Или не станут ли себе помощи и протекции искать у турок? И так, точно о том проведав, при надёжном случае, в Коллегию иностранных дел обстоятельно доносить; 2. Особливо же надлежить частые и верные ведомости о персидских происхождениях и не будет ли иногда какия движения от турков к границам и внутрь Персии в таком намерении, чтоб настоящими тамо замешательствами, когда шахом никто ещё совершенно не утвердился, пользоваться и рекоторыми землями завладеть“; 3. როცა საჭირო ცნობებს შეაგროვებ, საიმედო ხელით თქვენი კონვერტით საიდუმლოდ გამოუგზავნე ყიზლარის კომენდანტს, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნის, რის თაობაზე მას მითითება აქვს მიცემული; 4. ეს ინსტრუქცია თქვენ უნდა დაიხეპიროთ და კარგად დაიხსომოთ, ხოლო სახდვარზე რომ მიხვალთ, დაწვით, რომ ვინმეს ხელთ არ ჩაუვარდეს; 5. თქვენი საქართველოში გაგზავნის მიზნის დასაფარავად სამხედრო კოლეგია მოგცემთ პასპორტს, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ თქვენ ორი წლით თქვენივე თხოვნით გაშვებული ხართ საქართველოში თქვენი ოჯახური

¹²⁰ ო. ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან. გვ. 1-3.

¹²¹ იქვე გვ. 11.

საქმეების მოსაგვარებლად, რის შემდეგ რუსეთში ბრუნდებით; 6. ხარჯებისათვის საგარეო კოლეგია გაძღვეთ 300 მანეთს და ფულს 4 სამგზავრო „პოდვოდის“ დასაქირავებლად ასტრახანამდე, ხოლო ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას ვგზავნება მიწერილობა, რომ დაუყოვნებლივ გაგამგზავრონ ყიზლარში შესაბამისი საშვით, თქვენი მისიისათვის დასახული ამოცანა საიდუმლოდ უნდა შეინახოთ; 7. იმპერატორის ბრძანებით, სამხედრო კანცელარიას დავალებული აქვს: თქვენი აქ არყოფნის დროს წლის განმავლობაში თქვენს ცოლ-შვილს მიეცემა თქვენი ხელფასი¹²².

1754 წლის 8 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგია აცნობებდა სამხედრო კოლეგიას, რომ 1754 წლის 21 მარტს იმპერატორმა დაამტკიცა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინადადება ო. თუმანოვის საიდუმლო დავალებით საქართველოში გაშვების თაობაზე და ამ დავალების დასაფარავად თქვენ უნდა მისცეთ პასპორტი, თითქოს იგი 2 წლით თავისი ოჯახის საქმეზე იყო გაშვებული თავის სამშობლოში, აქ დარჩენილ მის ცოლსა და შვილებს კი ჯამაგირი მისცეთ სამხედრო ხაზინიდან, რამდენსაც კაპიტანი იღებდაო¹²³.

ინსტრუქციის რუსულ ტექსტს აქვს ქართულად მინაწერი ო. თუმანოვის მიერ, სადაც ნათქვამია, რომ ამგვარი ინსტრუქცია ქართულად დაწერილი, ბრძანება ასტრახანის გუბერნატორისადმი და სამხედრო კოლეგიის პასპორტი მივიღეო¹²⁴.

1754 წლის 23 ივლისს ოთარ თუმანოვი სტეფანწმინდას მოსულა¹²⁵, მაგრამ ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდა, იგი ყაბარდოში ოსეთის კომისიის მეთაურის, არქიმანდრიტ პახომის სახლში მისულა 14 ივლისს, სადაც 15-16 ივლისს შეხვედრია ყაბარდოში ჯარის დასაქირავებლად გაგზავნილ გივი ციცშვილს და საკმაო ინფორმაცია შეუგროვებია საქართველოსა და ირანის შესახებ, რის თაობაზე 17 ივლისის მოხსენებით აცნობებდა რუ-

¹²² *ა. ცინცაძე*. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან. გვ. 14.

¹²³ *იქვე*. გვ. 12-14.

¹²⁴ *იქვე*. გვ. 14-15.

¹²⁵ *იქვე*. გვ. 14.

სეთის მთავრობას¹²⁶, ხოლო 24 ივლისს სტეფანწმინდიდან მეორე მოხსენების გაგზავნას¹²⁷.

ამ მოხსენებებში საკმაო ინფორმაციაა საქართველოში ლეკთა ინტენსიური თავდასხმების, აზატ-ხანის მიერ ისპაჰანის აღების, მის ქართლ-კახეთის დამოკიდებულების საკითხებზე და იმის თაობაზეც, რომ აზატ-ხანს ახლა 30 ათასამდე კაცი იცავს, მასთან იმყოფება ზოგიერთი ქართველი თავადიც, რის გამოც ქართველ მეფეებს შიში აქვთ.

ეს მოხსენებითი ბარათი 1754 წლის 3 სექტემბერს ასტრახანის გუბერნატორ გენერალ-მაიორ უილინს მირუბული ჰქონდა, რის თაობაზე იგი 4 სექტემბერს საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა¹²⁸.

1754 წლის 1 დეკემბერს გაგზავნილ მოხსენებაში ო. თუმანოვი დაწვრილებით ყვება ივლისიდან დეკემბრამდე საქართველოში მომხდარ ამბებს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ 1754 წლის 30 ივლისს იგი ხელთუბანში იყო, სადაც შეხვდა ქართველ მეფეებს, შემდეგ დაწვრილებით ყვება 1754 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მომხდარ ამბებს - აქაა დაწვრილებითი სურათი ლეკთა თავდასხმებისა, მათ შორის მჭადიჯერის ბრძოლისა ხუნძახის ბატონთან¹²⁹.

ამავე (1754 წლის 1 დეკემბრის) მოხსენებით ოთარ თუმანოვი რუსეთის მთავრობას აცნობებს უმთავრესს: „ჩნდ ნოემბრის ცხრას, კნიაზ სვიმონ მაყაშვილი და არქიერეს ათანასეს კრებული მოვიდნენ აქ თბილისის ქალაქში. რაც ყოელად მოწყალის ხელმწიფის წყალობა მოუვიდათ დიდად მადლობით მიიღეს, ვგონებ, რომ რითაც შემძლებელი იყვნენ ქრისტიანობის მორჩილი იყვნენ“¹³⁰. ქვემოთ ო. თუმანოვი განაგრძობს: მეფეს რომ შეძლება ჰქონდეს 3 ათასი კაცი დაიქირაოს, ეს ქვეყანა შეძლებს დაქირავებული და საკუთარი ჯარით მტერს პასუხი გასცეს, მაგრამ მათ ფული არა აქვთ და ამიტომ უჭირთ, ხოლო ლეკები მაშინ ესხმიან, როცა გლეხები სამუშაოდ არიან გასული, ამათი ტყვე და საქონელი დაღესტანში

¹²⁶ *ო. ცინცაძე*. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან. გვ. 16.

¹²⁷ *იქვე*. გვ. 15-16.

¹²⁸ *იქვე*. გვ. 15-16.

¹²⁹ *იქვე*. გვ. 17.

¹³⁰ *იქვე*. გვ. 17-20.

მიდის, საიდანაც ყირიმში ყიდიანო¹³¹. რაც შეეხება სპარსეთის ვითარებას ო. თუმანოვი აღნიშნავს, რომ სპარსეთში ა'სატ-ხანი ავღანელებითაა გაძლიერებული, მას თავრიზი და ისპაჰანი უჭირავს, ამ წასულ საფხულს შირა'ნიც დაუჭერიათ, ქართველ მეფეებთან ა'სატ-ხანს მოყვრობაც მოუნდომებია, რადგან იგი ადრე ერეკლეს ერევანთან დაუმარცხებიაო; ფანა-ხანი სომხებს არბევს, სომეხი მელიქები მარჯვედ იბრძვიანო¹³²; დასასრულ, ო. თუმანოვი რუსეთის მთავრობას აცნობებდა, რომ ლეკები ახალციხის საფაშოს მიხდომიან, სამუშაო ტყვე (700-მდე კაცი) და ნადავლი უშოვიათ, ახალციხესა და ყარსის ფაშები დადვენებიან, მაგრამ ვერაფერი დაუკლიათ. რაც მთავარია: „სამთრობით თურქის მამულში აქეთ მხრის ნაპირისაკენ მეციხოვნის გარდა მომატებულის ჯარის ამბავი არა ჩანს რა თურქის მამულში“¹³³.

რუსეთის მთავრობამ მიიღო ძირითადი ინფორმაცია, რის გამოც ო. თუმანოვი საქართველოში გამოგზავნა: ელჩობის შედეგებს ქართველი მეფეები კმაყოფილებით შეხვდნენ და რუსეთზე გული არ აცრუებიათ და არავის მფარველობას არ ეძებენ; სპარსეთში კვლავ უმეფობაა, ხოლო თურქეთის სამხადისი „სპარსეთის“ ტერიტორიაზე შეჭრის თაობაზე არ ჩანს.

1755 წლის მოხსენებებში ო. თუმანოვი დაწვრილებით აღწერს ლეკთა თავდასხმებს საქართველოში, განსაკუთრებით ყვარლის ციხის ალყის ისტორიას¹³⁴; მზვერავი ასე ეხება სპარსეთის ამბებს და აღნიშნავს, რომ იქ არყულობაა და ა'სატ-ხანმა სეფი-ხანთან მარცხი განიცადა, მაგრამ ის მაინც ცდილობს შაჰის გვირგვინი დაიდგას თავზეო¹³⁵; ხოლო რაც შეეხება თურქეთს, მზვერავი აღნიშნავს, ჭორები გავრცელდა, რომ თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადება, ისიც ითქვა ჯარებს თავს უყრის და საით წავა არ ვიცით¹³⁶.

